წელიწადი მესამე

ფასი 10 კ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული პოლიტიკური, ეკონომიური და ლიტერატურული ჟურნალი.

კვირა, 3 აპრილი 1927 წ.

რედაქცია და კანტორა
რუსთაველის პროსპექტი, № 22, ოთახი 20. ტელ. № 23—87
ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 9—1 საათამდე.

№ 11

## ჟურნალის შინაარსი

ორიენტაციის საკითხები—**ყარიბი;** მე4 ყრილობის დელეგატის შთაბეჭდილებანი—**უ. ჯაში;** საქართველოს საბჭოთა მე-4 ყრილობა—**დამსწრე;** ქართველი ინტელიგენცია და მუშები—**ა. ვადაჭკორია;** მთლიანი ფრონტი—**ნ. ელიავა.** იმპერიალისტური სახელმწიფოები და საბჭოთა კავშირი—**ს. ელიაძე;** ჩინეთის რევოლიუცია და იმპერიალისტური მტაცებლები— **ხ. გვიმრაძე;** ერთა სოლიდაროზის დემონსტრაცია—**ა. ჩაჩუა;** „ყვითელის" მაგიერ წითელი საფრთხე—**ს. დოლიძე;** რას გვავალებს ქართველი ხალხის ინტერესები—**ნ. ბუკია;** ქართველი ახალგაზრდობა მონახავს თავის შეხედულების გზას— **ა. შავგულიძე;** მეტი ენერგია სწავლის შეძენის საქმეში—**ვ. კომახიძე;** ნაძალადევის თეატრი—**ლ. კუპრაშვილი;** სწავლა-განათლების საქმე კახეთში—**დ. თურდოსპირელი;** პროვინცია.

# ორიენტაციის საკითხები

VII

### წერილი გრიგოლ ლორთქიფანიძეს

ძმაო გრიგოლ!

მივიღე შენი პატარა უსტარი. მადლობელი ვარ მოგონებისთვის, თუმცა ამ მოგონებამ სიამოვნებასთან ერთად სულიერი ტკივილებიც მაგრძნობინა.

გამოგიტყდები: მეც დიდი სურვილი მქონდა შენთან გამოსაუბრებისა, ამ მიზნით კალამიც ხშირად ამიღია ხელში. მაგრამ ჩემს კლამს შენდამი მიმართვაც კი ვერ დაუწერია. დამეთანხმები, რომ ეს მართლაც ძნელი საქმეა ჩვენს მდგომარეობაში, ჩვენს პირობებში, ჩვენს დამოკიდებულებაში.

მართლაც რითი და როგორ უნდა დამეწყო წერილი? —ამხანაგო?—რა უფლება მქონდა ამხანაგობით მომემართა, როცა ჩვენ დღეს ამხანაგები არა ვართ, როცა ჩვენ ერთ მიზანს არ ვისახავთ, როცა ჩვენ სხვადასხვა პოლიტიკურ მიმართულებას ვემსახურებით?—მეგობარო?—მაგრამ ასეთი მიმართვაც ხომ რაღაც უხერხულია პოლიტიკური მოწინააღმდეგისადმი?—ბატონო?—მაგრამ ეს ხომ შეურაცყოფა იქნებოდა როგორც შენთვის, ისე ჩემთვისაც?—ძმაო?—ესეც ხომ სახიფათო საქმეა?..

ყველა ამ მიმართვებს ინსტიკტიურად სწერდა ჩემი კალამი და ინსტიკტიურადვე შლიდა... მაგრამ რაკი შენ გამომიყვანე ამ უხერხულ მდგომარეობიდან, ვიღებ კალამს და ვეცდები გიპასუხო.

რა მოხდა? რამ გამოიწვია ჩვენს შორის ასეთი უხერხულობა? რატომ წერილის მიწერაც კი გვიძნელდება ერთმანეთისთვის?

დიდი რამ მოხდა, ძმაო გრიშა, დიდი ცვლილება და თუ გინდა დიდი უბედურებაც. გავშორდით ერთმანეთს ერთი დიდი პოლიტიკური პარტიის ორი ძველი წევრი. ჩვენი გზა, რომელზეც რამოდენიმე ათეული წლის განმავლობაში ერთად ვიდოდით, ორად გაიყო, შენ, ამ პარტიის ერთი ლიდერთაგანი, დარჩი... არა ძველ პარტიაში, რადგან ასეთი პარტია, ჩემის ღრმა რწმენით დღეს არ არსებობს, შენ დარჩი ამ ყოფილი პარტიის ყოფილ ლიდერებს შორის. მე კი საუკუნოდ განვშორდი იმ ამხა-გებს, რომლებთანაც მთელი 35 წლის განმავლობაში ვიბრძოდი. და დღეს მე ვებრძვი ჩემს ყოფილ ამხანაგებს, ყოფილ თანამებრძოლებს, თანამოკალმეებს, ვიბრძვი კომუნისტური პარტიის რიგებში, როგორც კომუნისტი ჟურნალისტი, მთელის ჩემი ძალ-ღონით ვემსახურები იმ პარტიის სოციალისტურ მიზნებს, რომელსაც მე **ფორმალურად** არც კი ვეკუთვნი.

რა მოხდა? ვუღალატე ჩემს რწმენას? დავსწვი ყოველი ის, რასაც ვემსახურებოდი? გავიყიდე და გავყიდე ჩემი ქვეყანა?

არც ერთი, არც მეორე. მჯერა, შენ არ მოისურვებ ჩემი და ათასი ჩემისთანების ასეთი ნაბიჯის ასე პრიმიტიულად ახსნას. ღრმა ისტორიული და ფსიქოლოგიური მოვლენის სყიდვა-გასყიდვით ახსნას, მხოლოდ ისინი მიმართავენ, ვისაც ხელობათ სინიდისით ვაჭრობა გაუხდიათ, ვინც, თუ ეს მათთვის სასარგებლო იქნება, დღეში ასჯერ გამოიცვლიან რწმენას, დღეში თუნდაც ასჯერ გაიყიდებიან და თუ ხანდახან არ იყიდებიან ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მუშტარს ვერ პოულობენ...

განვშორდი ძველ თანამებრძოლებს, მაგრამ მე ერთის წუთითაც არ მიღალატებია ჩემი ძველი რწმენისათვის, ერთი მილიმეტრითაც არ გადავცილებივარ იმ მარქსისტულ გზას, რომლითაც მთელი 35 წლის განმავლობაში მივდიოდი ჩემი მიზნისაკენ.

მაშ რა მოხდა? რატომ დავშორდი ამხანაგებს?

თუ ამ საკითხს სრულის მიუკერძებლობით გამოვიკვლევთ, დავინახავთ, რომ მე კი არ განვშორებივარ ძველ გზას, მე კი არ დამიგდია ძველი რწმენა, ძველი ამხანაგები, ძველი პარტია; მე კი არ მიღალატია ძველი მიზნებისთვის. სრულიად პირიქით, ჩემმა ძველმა ამხანაგებმა,—მათ შორის შენც,—მიატოვეს თავისი ძველი გზა, უღალატეს ძველ დიად მიზნებს; დაღუპეს რევოლიუციონური ს.-დ. პარტია, უკუაგდეს მისი წითელი დროშა და სამაგიეროდ ნაციონალისტურ-ბურჟუაზიული დროშა ააფრიალეს...

პირუთვნელი მკვლევარი ს. ს.-დ. პარტიის ისტორიისა იტყვის, რომ მე და ჩემს ამხ-გებს, რომლებიც ჩემთან ერთად ემხრობიენ კომუნისტურ პარტიას, კი არ გვიღალატებია ჩვენი ძველი პარტიისთვის, არამედ ჩვენმა ყოფილმა ამხანაგებმა: ნოე ჟორდანიამ, გრიგოლ ლორთქიფანიძემ, ნოე რამიშვილმა და სხვა ყოფილ პარტიის ყოფილმა ლიდერებმა უღალატეს ძველ მცნებას, დაღუპეს ერთ დროს დიდი და ძლიერი ს.-დემოკრატიული პარტია, შესცვალეს მთელი მისი შინაარსი, მისი სული და გული, შესცვალეს მისი მიზნები; რომ მათ კლასთა ბრძოლის მაგიერად გამოაცხადეს კლასთა შორის საღმრთო სათნოება სამოქალაქო ომის ნაცვლად—სამოქალაქო ზავი...

როცა ჩემს ასეთ ბრალდებით ოქმს წაიკითხავ, ალბათ, გაგეცინება და იტყვი: გამოღმა გვედავები და მით გაღმის შერჩენას ცდილობო. სცდები. ეს ასე არ არის. მე არა ვარ უსაფუძვლო დავის გუნებაზე. მაგისთვის არც შენ შეგაწუხებდი და არც თავს შევიწუხებდი. თუმცა ჩემი ლიტერატ. ჟანრი, სამწუხაროდ, პოლემიკაა, მაგრამ; გარწმუნებ; მე სულაც არა ვარ პოლემიკის ჟინით შეპყრობილი, არასოდეს არ ვყოფილვარ ავად ამ სნეულებით... სრულიად პირიქით: მე კიდეც მეჯავრება პოლემიკა, რადგანაც მწარე გამოცდილებით ვიცი, რომ ეს ისეთი ხელობაა, რომლის საშუალებითაც მოპირდაპირეს ვერაფერს ვერ დაუმტკიცებ. ახლაც, ვიცი, რომ ამ პოლემიკით მე შენ ვერაფერს ვერ დაგიმტკიცებ, რადგანაც შენ ჩემი ხან ტონი არ მოგეწონება, ხან სურნელება, ხან არგუმენტაცია და ხან ვინ იცის კიდევ რა...

ეს ჩემთვის აშკარაა. მაგრამ პოლემიკა იგივე საჯარო შეჯიბრებაა და თუ ჩვენ მითი ერთმანეთს ვერ დავაჯერებთ, იქნება ის მაინც შევძლოთ, რომ მკითხველებს მივსცეთ საკმაო მასალა უკეთესად გაეცნონ საკითხს და თავისი განაჩენი გამოიტანონ საკამათო საგანზე.

მაშ შეუდგეთ საქმეს. ჩვენი მსაჯული თვით მკითხველი იყოს.

მე ვლაპარაკობ, რომ ს. ს.-დ. პარტიის ხელმძღვანელებმა დაღუპეს თავისი დიდი და ძლიერი პარტია, მოკლეს იგი და მის საფლავზე ნაციონალ-დემოკრატების დროშა აღმართეს.

მე ეს დებულება ჩემს წიგნში საკმაოთ დავამტკიცე. და თუ ეს ვინმეს არ აკმაყოფილებს, ხელახლა ვკისრულობ მის დამტკიცებას... მაგრამ სადღეისოთ დავკმაყოფილდეთ მხოლოდ ერთი თვალსაჩინო მაგალითით. დღეს საკმაოთ მიგვაჩნია მოვიგონოთ მხოლოდ ერთი ეპიზოდი ს. ს.-დ. პარტიის წარსულიდან. მოვიგონოთ ლადო დარჩიაშვილის „მოღალატეობა“, მოვიგონოთ „ჩვენი კვალი“, მისი მიზნები და მის წინააღმდეგ ს. ს.-დ. პარტიის უფრო თვალსაჩინო პუბლიცისტების შეურიგებელი ბრძოლა.

რას უსაყვედურებდენ ლადო დარჩიაშვილს? იმას, რომ იგი უარყოფდა ქართველ ხალხში კლასთა ბრძოლას. სამაგიეროდ ცდილობდა ამ ხალხის ყველა კლასების გაერთიანებას, მათი ინტერესების მორიგებას.

ჩვენმა მაშინდელმა პარტიულმა ორგანომ „ეკალმა“, რომელსაც იმ დროს შენი კარგად ნაცნობი, ჩვენი გრიშა ლორთქიფანიძე ხელმძღვანელობდა: შემდეგი სამართლიანი ბრალდება წამოუყენა ვლ. დარჩიაშვილს:

„პირველ მორიგ საკითხათ ქართველთა გაერთიანებას აცხადებთ და თქვენს ახალ დროშაზე ახალი წარწერაა: — „ქართველებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“— **ასეთი დროშა მუშათა ინტერესების სახით გამოგაქვთ, ნაძალადევად სთითხნით წითლად ამ ნაციონალისტურ დროშას, მაგრამ ისე უდგება მას წითელი ფერი, როგორც ხარს უნაგირი“**. (ხაზს ყოველგან ჩვენ ვუსვამთ. ყარიბი)...

„შეუძლია თუ არა მარქსისტს მუშათა კლასის და საერთოთ ერის ინტერესების ერთი და იგივეობა აღიაროს?“

კითხულობს წერილს ავტორი და თვითონვე უპასუხებს:

**„ვინც ასე შვრება, ის მუშათა საქმეს ღალატობს, ვინც საერთო ნაციონალურ ღმერთს ემსახურება, მას გუნდრუკს უკმევს და მუშათა ინტერესებს სრულიად უხამებს საერთოდ მთელი ერის ინტერესებს და მათ ერთ და იგივეობას აცხადებს, ის ღალატობს კლასობრივ პრინციპს და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ გზას ადგება. ეს გზა მოლიპულია. თქვენ უკვე ფეხი აგისხლტათ და პირქვე მიექანებით ამ გზაზე“**. (იხ. „ეკალი“, № 25 ,1908 წელი; 30 სექტემბერი).

ასე სწერდა ცხრამეტი წლის წინათ გაზეთი „ეკალი“-ს მოწინავე.

შენ კარგად იცნობ ამ მოწინავეს ავტორს, შენ კარგად გახსოვს ამ გაზეთში გ-ს მიერ ხელმოწერილი სტატიებიც... და მჯერა, რომ უარს არ იტყვი მათ მიერ გაცემული ვექსილების განაღდებაზე... მაგრამ, ვაი რომ დღეს შენ ვერ შესძლებ ამ ვექსილების განაღდებას, რადგანაც შენ და შენი ამხანაგები დღეს,—ნუ გამიწყრებით, და კოტრები ხართ. დღეს თქვენ უფლება არა გაქვთ ვინმეს უსაყვედუროთ **„მუშათა საქმის ღალატი“**, რადგანაც თქვენ კარგი ხანია რაც მუშათა დროშა, მათი კლასობრივი მტრების დროშით შესცვალეთ...

დღეს თქვენ უკუაგდეთ თქვენი ძველი, ჩვენი საერთო მარქსისტული დროშა-ალამი, ხელში აიღეთ ეს თქვენ მიერ უარყოფილი და შეგინებული ვლ. დარჩიაშვილის დროშა, რომელსაც 19 წლის წინად თქვენ თვითონ უწოდეთ „ნაძალადევად წითლად შეთითხნილი ნაციონალისტური დროშა“ და, რომელსაც თქვენივე თქმით, „ისე უდგება წითელი ფერი, როგორც ხარს უნაგირი“.

მითხარი: რა არის ეს, თუ არა ს.-დ. პარტიის ღალატი, მისი უარყოფა; მისი სიკვდილი და დასამარება?

მაშ ვის ჩაუდენია **„მუშათა საქმის ღალატი“**? იმ მრავალ ათასეულ მუშებსა და გლეხებს, რომლებიც რამდენიმე ათეული წლების განმავლობაში იბრძოდენ წმინდა მარქსისტულ პარტიაში, მისი სოციალიზმით გაბრწყინვებული წითელი დროშის ქვეშ და რომლებმაც არ მოისურვეს ამ მათი საყვარელი დროშის „ნაძალადევად წითლად შეთითხნილი ნაციონალ-დემოკრატიული დროშით“ შეცვლა და მიემხრენ იმ პარტიას, რომლის ხელშიც ეს მათი საყვარელი მარქსისტული დროშა დაინახეს? თუ ყველა თქვენ, რომლებმაც ერთი ხელის დაკვრით გაანადგურეთ ის პარტია, რომლის შექმნასაც მოუნდა მთელი ჩვენი თაობის თავდადებული შრომა, ოფლი და სისხლი?

მე გეკითხები: ვინ ღალატობს დღეს მუშათა საქმის?

მაგრამ შენ და საერთოთ თქვენ უკვე გვიპასუხეთ ამაზე. აი თქვენი პასუხი:

**„ვინც საერთო ნაციონალურ ღმერთს ემსახურება და მუშათა ინტერესებს უხამებს საერთოდ მთელი ერის ინტერესებს და მათ ერთსა და იგივეობას აცხადებს, ის ღალატობს კლასობრივ პრინციპს და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ გზას ადგება“.**

ასეთი თქვენი პასუხი, ნამდვილი მარქსისტულია. ის ერთად-ერთი პასუხია, რომელიც შეეფერება ნამდვილ სოციალისტებს!

ასე სწორად აფასებდით თქვენ ლადო დარჩიაშვილის მოღვაწეობას. მერე რატომ ჩაიდინეთ თვითონ თქვენ იგივე დანაშაული სოციალიზმისა და მუშათა კლასის წინაშე, რატომ უღალატეთ მას? რატომ ასე დაუფიქრებლად

დადექით „მოლიპულ გზაზე“, რომელზე დგომას დარჩიაშვილს უსაყვედურებდით?

და ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ თქვენ მოგივიდათ ის, რაც თქვენივე თქმით, ლ. დარჩიაშვილს მოუვიდა: **უკვე აგისხლტათ ფეხი და პირქვე დაეშვით ამ მოლიპულ გზაზე**“...

იქნებ, ალბათ; შემთხვევით ჩაგვარდნია ხელში „ახალი გზის“ მეხუთე ნომერი, წაგიკითხავს იქ ჩემი ერთი სტატია „ორიენტაციის საკითხები“-ს ციკლიდან და ხუმრობის გუნებაზე დამდგარხარ. მოხარული ვარ ჭეშმარიტად თუ ჩემმა საცოდავმა ნაშრომმა ცოტათი მაინც გასიამოვნა.

შენ მწერ, რომ არ მოგწონს ეს ჩემი წერილი. რა ვქნა? არც მე მომწონს მაინც და მაინც, მაგრამ უკეთესად ვერ დავსწერე. ყველა გამოხატავს თავის აზრს ისე, როგორც ეს მას შეუძლია. მე მეტი ვერ შევიძელი...

მაგრამ მითხარი: მაინც რა არის ჩემს წერილში ისეთი, რაც ქართველ მარქსისტს არ უნდა მოეწონოს? რა არის იქ მოსაწონებელი, ან დასაწუნებელი? იქ ახალიც არაფერია. იქ მე ჩემს ძველ ქამანჩას ვუკრავ, ჩემს ძველ, ბევრჯერ დაწერილ და ნათქვამ აზრებს ვუკეთებ რესტავრაციას საქართველოს ორიენტაციის შესახებ. მე აქაც არ გამოვცვლილვარ: ვიყავი, ვარ და ვიქნები რუსეთის ორიენტაციის მომხრე. ათასჯერ საქვეყნოდ მითქვია, ვამბობ და ვიტყვი, რომ მე მთელის ჩემი ძალ-ღონით ვიცავ საქართველოს დამოუკიდებლობას. მაგრამ, თუ საქართველოს თავის საკუთარ ფეხებზე დგომა არ შეეძლება, ვარ და ვიქნები მომხრე რუსეთის ორიენტაციისა. ეს არის ჩემი პოლიტიკური მრწამსი.

მერე ჩემის მხრით ეს ახალი ამბავია? შენ და ყველა ჩემმა ამხანაგებმა იცოდით ჩემი ასეთი შეხედულება ამ საგანზე, მაგრამ ერთხელაც არავის არ უსაყვედურებია, არავის არ გამოუთქვამს უკმაყოფილება ჩემს წინააღმდეგ არც წერით, არც პირადად ლაპარაკის დროს. სრულიად წინააღმდეგი მახსოვს, როგორც ყველა ყოფილი ამხანაგებისაგან, ისე პირადათ შენგან. ჩემი „წითელი წიგნი“, რომელიც 1919 წლის მეორე ნახევარში დაიწერა, ჩემს ყოფილ დიდ ამხანაგებს და კერძოთ შენ, როგორც ეს შენ არა ერთხელ გითქვია ჩემთვის, მოგწონდათ. მერე ამ „წითელ წიგნში“ ხომ მთელი თავები აქვს დათმობილი, საქართველოს რუსეთთან მჭიდრო კავშირის აუცილებლობას? ჩემი დღევანდელი წერილები: „ორიენტაციის საკითხები“-ს გამო მხოლოდ ამ წიგნში გამოთქმული აზრების განმეორებაა.

მიპასუხე, გრიშა, შენებურის გულწრფელობით: რატომ იმ დროს, როცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა არსებობდა და ორივე ამ რესპუბლიკის მთავრობის წევრები ვიყავით, არ წარმოადგენდა ერესს ჩემი ასეთი აზრები, და რატომ შეიქნა იგი დღეს ყბად ასეღები და წყალწასაღები? რატომ მაშინ მოგწონდა იგი და დღეს არ მოგწონს?

ალბათ იმიტომ, რომ „მდგომარეობა ჰქმნის შეგნებას“... მაშინ, როცა საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა არსებობდა, როცა მეცა და შენც ჩინებულად ვხედავდით, რომ ჩვენი დამოუკიდებლობა, ნ. ჟორდანიას ლამაზი შედარება რომ ვიხმაროთ, **„წყალზე ფეხით გაჩერება“**-ს უფრო ჰგავდა, ვიდრე დამოუკიდებლად არსებობას და მდგომარეობა ორიენტაციის არჩევას გვიკარნახებდა, მაშინ ჩემი ასეთი აზრი, ალბათ, მისაღები იყო.

დღეს? დღეს როცა „არადან—არჩევანის“ მეტი არაფერი გეხარჯებათ რუსეთზე ორიენტაცია და რუსეთთან ერთ კავშირში ყოფაც კი საჭიროდ არ მიგაჩნიათ და ევროპას ირჩევთ.

ბოლოში ვიხდი: ამის შესახებ პირადათ შენი აზრი არ ვიცი, მაგრამ მე აქ ვლაპარაკობ საერთოდ ყოფილი ს.-დ. პარტიის ყოფილ ლიდერებზე, რომლებიც დღეს ევროპაში ეძებენ საქმროს მომავალი თამარ მეფისათვის...

შენ ჩემი წერილი და მასში გამოთქმული აზრი არ მოგეწონა. ეს ბუნებრივია. მე ამას მოველოდი. მაგრამ იმას კი არ მოველოდი, რომ შენ ჩემს დაფრთხობას, ჩემს დაშინებას მოინდომებდი... აბა მოიგონე შენი წერილის ეს მაფრთხობელა ადგილი. შენ მწერ:

„წარმოვიდგინოთ საშინელება: ყოფილი რუსეთის ცენტრალისტური თვითმპყრობელი იმპერია აღსდგა. თბილისში დაარსდა კომიტეტი, რომელმაც უნდა აღადგინოს „დიდების ტაძარი“ ვორონცოვისა, გრიაზნოვისა და სხვათა ძეგლებით. დარწმუნებული ვარ, რომ ეს კომიტეტი პირველ ყოვლისა ამ შენ წერილს გამოსცემს. ხოლო დაბრუნებული ეგზარხოსი საქართველოისა სიონის სამრეკლოდან იტყვის პირველ საზეიმო ქადაგებას და უხვად მოიყვანს ციტატებს ამ შენი წერილიდან“.

ოი, საშინელებავ! ოი, ჯოჯოხეთო! თურმე როგორ დავღუპულვარ და მე კი არაფერი ვიცოდი!

შე კარგო კაცო, რაღა მარტო მე მაშინებ ასეთი პერსპექტივებით? რატომ მაინცა და მაინც ამ შენგან დაწუნებული ჩემი წერილიდან უნდა მოიყვანოს ციტატები საქართველოს მომავალმა ეგზარხოსმა და არა შენგან **მოწონებული** ჩემი რუსულად დაწერილი „წითელი წიგნი“-დან? ან რა საჭირო იქნება მისთვის ყარიბის ნაწერებიდან ციტატების მოყვანა საქართველოსა და რუსეთს შორის მჭიდრო კავშირის აუცილებლობის შესახებ, როცა ამისთვის უკეთეს საბუთებს მოიყვანს ისეთი მაღალ ავტორიტეტიანი მწერლის თხუზულებიდან, როგორიც არის თვითონ ნოე ჟორდანია?.. გეთანხმები: შეიძლება, ჩემი ესა თუ ის აზრი ვინმე რუსის ჩინოვნიკსაც მოეწონოს, კიდეც გამოიყენოს იგი თავისი შოვინისტური პოლიტიკის გასამართლებლად. მერე მე რა? ეს რა ჩემი ბრალია? განა იგივე საქართველოს ეგზარხოსი და თვითმპყრობელობის სხვა აგენტები კი არ იყენებდენ თავისი პოლიტიკის გასამართლებლად ჩვენსა და მთლად ს. ს.-დ. პარტიის აზრებს, როდესაც ჩვენ ქართველ შოვინისტებსა და სეპარატისტებს ვებრძოდით? შენ თუ არ გახსოვს, მე მოგაგონებ ამის მაგალითებს. ამიერ-კავკასიის შავრაზმული რუსების ორგანო „გოლოს კავკაზა“ შავით თეთრზე სწერდა: ნამდვილი ერთგული რუსეთისა კავკასიაში მხოლოდ ს.-დემოკრატიული პარტია არის, ქართველი ფედერალისტები კი რუსეთის შეურიგებელი მტრები არიანო...

მერე რა? ამიტომ ს.-დემოკრატიის მუშაობა თავის ღირებულებას კარგავდა მითი რომ მას ხანდახან რუსის შოვინისტებიც თანაგრძნობით იხსენიებდენ? არა, არ კარგავდა.

რატომ თვითმპყრობელობის დროს არ იყო სასაცილო რუსეთის ხალხთან ერთად საერთო მიზნებისთვის ბრძოლა და რატომ დღეს შექმნილა სასაცილოდ იგივე აზრი? რატომ თვითონ შენ, ნოე ჟორდანიას, მთელ ჩვენს პარტიას არ ეძრახოდა ასეთი აზრების საქვეყნოთ მტკიცება და რატომ მე უნდა მეშინოდეს მისი?

საკვირველია: როდის აქეთ შეითვისე შენ ასეთი ორმაგი მორალი? როდის შეისწავლე ასეთი ორმაგი ბუხგალტერია?

დამიჯერე, პატივცემულო გრიგოლ იმ კრებულში, რომელსაც, შენის თქმით, „დიდების ტაძრის“ აღმდგენი კომიტეტი გამოსცემს, მარტო შენ მიერ დაწყებული ყარიბის სტატია კი არ იქნება, იქ პირველ ადგილს დაიჭერს ნოე ჟორდანიას ყველა ნაწერები, რომელიც ამ საგანს შეეხებოდა; მეორე ადგილს „ეკალში“ მოთავსებული შენი წერილები და შემდეგ იქნება რიგი ჩემზეც მოდგეს. მაგრამ ამის მე არ მეშინია. და გირჩევთ, ნურც თქვენ შეგეშინდებათ ამის, რადგანაც ეს მხოლოდ და მხოლოდ იმის მაჩვენებელი იქნება, რომ თქვენ ოდესღაც მაინც იყავით მარქსისტები, იყავით ნამდვილი სოციალ-დემოკრატები და აზროვნებდით ისე, როგორც ამას მოითხოვდა თქვენი

ინტერნაციონალისტობა და იმავე დროს ქართველი მშრომელი ხალხის ინტერესებიც. ნუ შეგეშინდებათ, მეთქი, ამის და თუ თქვენ ჩემს ასეთ რჩევას არ დაიჯერებთ, კეთილ ინებეთ და ჩემს დაფრთხობას მაინც ნუ მოისურვებთ. მე ასეთი პერსპექტივების არ მეშინია.

შენ მე მაშინებ: შენს სტატიას რუსის ეგზარხოსი გამოსცემს რაღაცა ფონდის გასაძლიერებლადო. თუ ეს ასეთი დიდი პოლიტიკური მარცხია, ის უკვე მოუვიდა ნოე ნიკოლოზის ძე ჟორდანიას, რომლის ყველა ნაწერები ნაციონალურ საკითხზე, ესე-იგი იმ საკითხზე, რომელიც ახლა ჩვენ გვაინტერესებს, უკვე პირველ რიგში გამოსცა თბილისში ცალკე ტომად საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ. მართალია ეს პარტია ეგზარხის პარტია არ არის, მაგრამ დღევანდელ ნოე ჟორდანიას თვითმპყრობელი რუსეთის ეგზარხებთან მეტი აქვს საერთო ვიდრე კომუნისტურ პარტიასთან.

მაინც რა არ მოგეწონა შენ ჩემს საცოდვავ წერილში? რატომ ასე მხიარულ გუნებაზე დაგაყენა სიონის ტაძრის სამრეკლომ, რომელიც ჯარისკაცების ფარაჯაში გახვეულმა რუსის გლეხებმა თავისი მოძმე ქართველი გლეხების უდიდესი მტრებისაგან განთავისუფლების დღის აღსანიშნავადააშენეს თავისი დაკორძებული ხელებით? ააშენეს თავისი სისხლის ფასით მოპოებული ფულით? ნუ თუ ეს ფაქტი არ იყო აღნიშვნის ღირსი?..

ან იქნება შენს სოციალისტურ გემოვნებას არ სიამოვნებს ეკლესიებზე და სამრეკლოებზე წერა და ლაპარაკი?.. ვერ დავიჯერებ. ვინც მთელი ერის სახელით გამოდის, ვინც ერის ყველა კლასების „ერთსა და იგივეობას" ეტრფის, ის ვერც ეკლესიებზე იტყვის უარს, ვერც ბერებზე და ვერც მონაზონებზე, რადგანაც ეს უკანასკნელებიც ერის ნაწილია და ვინც **მთელი ერის** ინტერესების დამცველობას კისრულობს, ეს მისი ნაწილიც უნდა დაიცვას.

მაგრამ ჩემს სტატიაში არ იყო ეკლესიის ქება-დიდება. მე ეს შენგან ათვალწუნებული მაგალითი მხოლოდ იმ მიზნით მოვიყვანე, რომ ქართველი ემიგრაციის ბელადებისთვის დამენახვებია, თუ როგორ სჭედდენ თვით რუსეთისა და საქართველოს ხალხები ურთიერთ შორის ძმურ კავშირს, როგორ უნათესავდებოდენ ერთმანეთს სულიერადა და ფიზიკურად.

და თუ ნოე ჟორდანიას კი არ ეძრახება მისტიციზმს მიმართოს იმის დასამტკიცებლად, რომ ქართველები ევროპიელი ერების ნათესავები არიან, ამიტომ საქართველო რუსეთს უნდა ჩამოშორდეს და პირი ევროპისაკენ უნდა იბრუნოსო, თუ გ. გვაზავას კი აქვს ნება ფრანგულ გაზეთ „პრომეთე"-ში ამტკიცოს: ქართველები და ფრანგები ერთმანეთს ბრძოლის ველზე შეხვდენ ჯვაროსნობის ომების დროს, ამიტომ ეს ორი ერი ნათესავები არიან და საქართველომ საფრანგეთის ორიენტაცია უნდა მიიღოსო, რატომ მე მისპობ, ადამიანო, უფლებას ისტორიის წიაღიდან ამოვიღო უტყუარი ფაქტები და ქვეყანას დავანახო, რომ რუსეთისა და საქართველოს ხალხებს შორის ნათესავური კავშირის დასამტკიცებლად სულაც არ არის საჭირო მისტიციზმის ბურუსში ბოდიალი, რომ ასეთი ნათესავური კავშირის დამამტკიცებელი საბუთები ჩვენ ყოველ ფეხის გადადგმაზე გვაქვს და სხვათაშორის სიონის სობოროს წინ აღმართული სამრეკლოს სახით.

ნუ ჩამომართმევ მედიდურობით, თუ ვიტყვი, რომ ჩემს წერილში საქართველოს ორიენტაციის შესახებ გამოთქმული აზრების უარყოფით, შენ უარყოფ მთელი ს.-დ. პარტიის აზრებს ამავე საკითხში; შენ უარყოფ ნოე ჟორდანიას, უარყოფ ყველა შენს ყოფილ და დღევანდელ ამხანაგებსა და თანამოკალმეებს, უარყოფ თვით გრიგოლ სპირიდონის ძე ლორთქიფანიძეს, რომელსაც არა ერთხელ უწერია ამ საკითხების შესახებ და, რომლის აზრებიც ჩვენ ზემოთ საკმაოთ გავიცანით.

ახლა ცოტა რამ ტონის შესახებაც. მწერლის ტონი და კილო—ეს თვითონ მწერალია. როგორც ბულბულს არ შეუძლია მამალსავით ყივილი და მამალს ბულბულსავით სტვენა, ისე მწერალს არ შეუძლია თავისი ტონის დაგდება და სხვისი, თუნდაც უკეთესი ტონის შეთვისება. ეს ფაქტია. მაგრამ რაღა ახლა მიაქციე, შე კარგო კაცო, ყურადღება ამ ჩემს ტონს? 35 წელი მიწერია ყველა ჩვენს პარტიულ ორგანოებში, მიწერია უაღრესად საპასუხისმგებლო თემებზე, შვიდი თუ რვა წიგნიც შემიძლია ჩამოგითვალო ჩემ მიერ, ალბათ, ამ ტონით დაწერილი, როგორც ქართულ. ისე რუსულ ენებზე. და ერთხელაც არ დამდგარა საკითხი ჩემი კილოს შესახებ. სრულიად პირიქით: ჩემი კილო მოსწონდათ ჩემს პარტიულ ამხანაგებს.

შენ ამ შენს წერილშიც მეუბნები რაღაც ამგვარს...

მაშ რათ დაგჭირდა დღეს ამ ჩემ კილოს შესახებ ლაპარაკი?

შენ და ყველა ჩემმა ყოფილმა ამხანაგებმა ხომ ჩინებულად იცით, რომ მე არასოდეს არ მიკისრია ვისიმე ფეხის გულების ფხანა; მე არასოდეს არ გამომიჩენია სურვილი მიმებაძა აღმოსავლეთის დესპოტების ლაურეატებისთვის, რომლებიც თავის ბრძანებლებს ყოველთვის მოთაფლული სიტყვებით მიმართავდენ თუ დაინახავდენ, რომ მათ მოწყალე შაჰს წვერზე მსუქანი ფლავის ნამცეცები ჰქონდა, მუხლმოდრეკით მოახსენებდენ:

— ცათა სწორო! შაჰინ შაჰ! თქვენს ბაღში ბულბული ზის!

მე ეს არ მეხერხება, არც ვცდილვარ და არასოდეს არც ვეცდები ამ კილოს შეთვისებას. ამ ტონის მომხრე, რამდენადაც მახსოვს, არც შენ იყავი უწინ. მე კარგად მახსოვს რომ როცა აქ პუბლიცისტობდი, შენც არ თვლიდი სასირცხოთ მოწინააღმდეგების **„ქეჩოში ხელის ტაცებას"** (შენ ასე სწერდი ლადო დარჩიაშვილის წინააღმდეგ) და სხვა ასეთებს...

მაშ რა მოგდის დღეს, რომ ენატკბილობის აპოლოგეტად გამოდიხარ? რა შენი საქმეა. ჟურნალისტების პეპინიერკის როლი? რატომ ეცილები ამ საქმეში პატივცემულ სეით დევდარიანს? ეს ხომ მისი ამპლუაა და არა შენი?

კიდევ...

მაგრამ კმარა. წერილი მეტის მეტად გამიგრძელდა დანარჩენი შემდეგ იყოს

**ყარიბი.**

# მე-4 ყრილობის დელეგატის შთაბეჭდილებანი

28 მარტს გაიხსნა სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-4 ყრილობა, რომელმაც უნდა მოისმინოს საქართ. საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობის წარსული წლის მუშაობის ანგარიში, შეაფასოს მიღწევები, მიუთითოს წარსულ საქმიანობის ნაკლზე, ჯამი გაუკეთოს როგორც დადებითს, ისე უარყოფით მხარეებზე და გამოიმუშავოს მთავრობის მომავალი მუშაობის გეზი და წარმართოს იგი ისე, როგორც ამას მოითხოვს მუშათა და გლეხთა ინტერესები, გამონახოს ის საშუალებები, რომელიც შეძლებას მისცემს ხელისუფლებას არსებული ნაკლულოვანებათა გამოსასწორებლად.

დღევანდლამდე შეიძლება წარმოედგინა ვინმეს, რომ გადახვეწილი და გაკოტრებული უჯარო მენშევიკების ლიდერების პროვოკაციული მუშაობა პარიზში, აქ, საქართველოში კიდევ მოიპოებდა რაიმე გამოძახილს, მაგრამ, როდესაც ყრილობაზე ამხ. **შ. ელიავას** მიერ გაკეთებულ მოხსენების შემდეგ გამართულ კამათში მთელი რიგი დე-

ლეგატებისა ერთსულოვნად აღნიშნავენ იმ მიღწევებს, რაც მიიღო საბჭოთა ხელისუფლებამ საანგარიშო პერიოდში და მიუთითებენ იმ ნაკლულოვანებებზე, რომლებიც მომავალში უნდა გამოსწორდეს—თქვენ რწმუნდებით, რომ ჩვენი ყოფილ ამხანაგების პროვოკაციას საქართველოში ვერავითარ გამოძახილს ვერ იპოვნის. თქვენ რწმუნდებით, რომ ხალხი თავისი ხელისუფლებასთან ერთად უკვე ჩაბმულია თავისი ქვეყნის, მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს აშენებისა და აყვავების საქმეში, რომ ის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ენერგიულად მიდის წინ სოციალიზმისაკენ და რომ ვერავითარი ძალა ვერ გადაახვევინებს ამ გზიდან. ყრილობაზე თქვენ ხედავთ ჩვენი ქვეყნის ნამდვილ პატრონს, რომელიც მთელი თავისი არსებობით არის დაინტერესებული სახელმწიფოს ცხოვრების ყოველი წვრილმანითაც და თვისი ძალისა და უფლების სრულის შეგნებით აძლევს ხელისუფლების წარმომადგენლებს საჭირო ახსნა-განმარტებებსა და დირექტივებს.

საინტრესოა ვიცოდეთ ყრილობაზე დამსწრე დელეგატების სოციალური შემადგენლობა.

ვინ არიან ეს დელეგატები?

მათი უმეტესობა სოფლის წარმომადგენლებია: გლეხობა, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობა, ოსი, მუსულმანი, ბერძენი, სომეხი, რომლებიც დღეს ძმურად ხელგაწვდილი და თანასწორნი სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში, პოლიტიკურად ერთხელ და სამუდამოდ განთავისუფლებულნი ბეგებისა და თავად-აზნაურების მათრახებისაგან, წყევლა-კრულვით იხსენიებენ ამ ექვსი წლის წინად დამხობილ მენშევიკურ მთავრობის „საქმიანობას“, მის „დემოკრატიულ“ რეჟიმს, რომელსაც ეროვნული შუღლის მეტი არაფერი გაუკეთებია.

გავეცნოთ ზოგიერთ დელეგატებს.

აი რაჭის დელეგატი ამხ. **გაგნიძე**. ის მოუთხრობს ყრილობას, რომ მას საშუალება მიეცა გამოსულიყო ტრიბუნაზე მხოლოდ საბჭოთა წესწყობილების დროს, ის თავის სიცოცხლეში მხოლოდ სხვისი მოსამსახურე იყო და მუდამ ბატონის შიშით ხმას ვერ იღებდა, მის შრომასაც ბატონი ეპატრონებოდა.

— დღეს კი,—ამბობს ის,—აქა ვარ გამოგზავნილი და ჩვენი კუთხის გასაჭირზე მინდა მთავრობას უთხრა ცოტა რამ. მეც მიკვირს, ამხანაგებო, ჩემი აქ ყოფნა. ვინ მომცემდა ნებას აქ მე გამოვსულიყავი და პირისპირ მთავრობისათვის შემეხედნა?—აი გულწრფელი ამოძახილი ამხ. გაგნიძისა.

ის მოუთხრობს ყრილოას რაჭის მაზრის გასაჭირს: მიწის ნაკლებობას, სკოლის ქსელის გაფართოების საჭიროებას, ექიმების სიმცირეს, რაჭის დაქვეითებას და კულტურულ ჩამორჩენილობას, თავგასულობას ექიმბაშების, რაჭის დელეგატი არც ჩინეთის რევოლიუციას ივიწყებს. ის თავის ამრჩევლების მაგიერ სალამს მიუძღვნის მებრძოლ ჩინელებს.

აი ზუგდიდის მაზრიდან გლეხი-ქალი ნატალია ხვინგია. ის დიასახლისია. ქართული არ იცის და ლაპარაკობს მეგრულ ენაზე. აცნობს ყრილობას მაზრის ჭირ-ვარამს, თხოულობს სოფლისადმი მეტ ყურადღებას და მთავრობას სთხოვს შემდეგისათვის მეტი ყურადღება მიაქციოს ზუგდიდის მაზრას.

ამასვე იმეორებს აფხაზი ქალი, რომელიც უმრავლესობისათვის გაუგებარ აფხაზურ ენაზე ესალმება ყრილობას და უსურვებს მას ნაყოფიერ მუშაობას. აფხაზ ქალს ცვლის აფხაზი მამაკაცი, რომელიც მშობლიურ ენაზედვე, მიუხედავათ ხნოვანებისა, თამამად სჭექს დარბაზში, რაც იწვევს საერთო აღტაცებას, როცა ამხანაგი ჩანბა ორივე აფხაზ დელგატების ნალაპარაკებს აცნობს რუსულად ყრილობას.

აი ხევსურეთის დელგატი ამხ. **ნარაზოული**. ის, როგორც მთის არწივი, ისე ავარდება ტრიბუნაზე ხევსურის ტრადიციულ ჩოხაში და გრძელი ხანჯალით, ჭრელი პაჭიჭები მას განსაკუთრებულ ელფერს აძლევს. მას ხევსურეთის უგზოობა აწუხებს, არც სკოლები აქვთ, კულტურულად ჩამორჩენილობას აფიქრებს. ის ლაპარაკობს ხევსურეთის კარჩაკეტილობაზე და სთხოვს მთავრობას ტეხნიკური ძალებით დაეხმაროს ამ მხარეს. დანარჩენს თვით გლეხები იკისრებენ. როცა ამხ. ნარაზოული მიხ. ჯავახიშვილის **„თეთრ საყელოს“ შეეხო**, სადაც აწერილია ხევსურეთის ყოფა-ცხოვრება, მთელი დარბაზი ტაშის კვრით ეგებება ორატორს. ხევსურელებს არ მოსწონთ, როცა მათ უყიჟინებენ გაუნათლებლობას და სამართლიან საყვედურს გამოსთქვამენ ამის გამო. მიხ. ჯავახიშვილის მიმართ.

შემდეგ გამოვიდენ: სომეხი, მუსულმანი, ოსი ამხანაგები, რომლებმაც დაახასიათეს მათი დღევანდელი მდგომარეობა და ხაზი გაუსვეს მენშევიკების ბატონობის დროს გამეფებულ ეროვნულ შევიწროვებას, რაც საბჭოთა ხელისუფლების დროს სრულიად მოსპობილია.

შეიძლება განა იმ სურათის გაზეთის ვიწრო ფარგლებში გაშუქება, რომელიც ყრილობაზე გამოსულმა დელეგატებმა დასტოვეს და აღბეჭდეს დამსწრეთა გულში? ეს შეუძლებელია. ის აღტაცება და აღფრთოვანება, რომელიც ყრილობას განსაკუთრებულ დაღს ასვამს თავის საქმიანობაში, ენით და კალმით გამოუთქმელია. ამ დელეგატებმა იციან, რომ მათ მიერ არჩეული ხელისუფლება გაამართლებს მათ იმედებს და ისინიც სრულის ნდობით და სიყვარულით ანდობენ მას ქვეყნის ბედ-იღბალს. მათ იციან, რომ საბჭოთა ხელისუფლება—მათი სურვილის გამომხატველი და ინტერესების დამცველი მთავრობაა, მათი შრომის ნაყოფის სადარაჯოზე მდგომი ხელისუფლებაა და ამიტომ დაიმედებული შეჰყურებენ უკეთესს მომავალს.

როცა უპარტიო გლეხობა და მუშები გამსჭვალულია სრული ნდობით მათ მიერ ამორჩეულ მთავრობისადმი, როცა ეროვნული უმცირესობათა წარმომადგენლები მე-4 სრ. საბჭ. საქართველოს ყრილობაზე თავს გრძნობენ საკუთარ რესპუბლიკაში, განა შეიძლება ფიქრი იმაზე, რომ საქართველოში კიდევ განმეორდეს აგვისტოს მსგავსი ავანტიურა? ასეთი ავანტიურა თავიდანვე განწირულია. მას მხოლოდ ის ფენები თუ დაუჭერენ მხარს, რომლებიც ეხლანდელ ყრილობაზე დამსწრე დელეგატების ზურგზე ამ ექვსი წლის წინად მალაყებს გადადიოდენ და დღეს უსაქმოთ დაეხეტებიან პარიზის ქუჩებში.

მიუხედავათ საერთაშორისო ბურჟუაზიულ მთავრობების ცდისა, რომ გაართულონ საბჭოთა რესპუბლიკებთან დამოკიდებულება და ამით ისარგებლონ პარიზელმა ავანტიურისტებმა და მით შიგნით დაწყებული სოციალისტური მშენებლობა შეაფერხონ, საბჭოთა საქართველოს მუშები და გლეხები ყოველივე ცდას პროვოკაციისას ძირშივე აღმოფხვრიან.

ამის თავდებია ის ერთსულოვნება, რომელიც საქ. მე-4 საბჭოთა ყრილობაზე სუფევს.

დდელეგატი **უ. ჯაში.**

# საქ. საბჭოთა მე-4 ყრილობა

მარტის 8-ს გაიხსნა ჩვენი რესპუბლიკის დედა ქალაქში, მისი მიწა-წყლის ბატონ-პატრონი, საქართველოს უზენაესი ორგანო — სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-4 ყრილობა. საბჭოთა ყრილობა იკრიბება ორი წლის შემდეგ; ბევრი რამ მოხდა ამ ხნის განმავლობაში; ძირითად შეიცვალა ჩვენი ეკონომიური და კულტურული ცხოვრება; ბევრი რამ გაკეთდა ორივე დარგში და კიდევ ბევრი დარჩა გასაკეთებელი; დიდ მიღწევებთან და გამარჯვებებთან ერთად იყო შეცდომებიც მუშაობის დროს, ყრილობის მუშაობაც ამ მხრით იყო მიმართული: ყრილობამ ჯამი გაუკეთა იმ დიდ აღმშენებლობითი საქმეს, რომელიც გაკეთდა ამ ხნის განმავლობაში, გაითვალისწინა ყველა ნაკლი და შეცდომანი, შეიმუშავა ომავალი მუშაობის მტკიცე გეგმა, გაეცნო თვითეული მაზრის მტკივან ადგილებს და გამონახა ღონისძიებანი, რომლის საშუალებითაც უნდა გაჯანსაღდეს მომქმედ ორგანოების დაავადებული ადგილები.

ვინ რა თქვა ზემოთ აღნიშნული საკითხების გარშემო, ან როგორია ყრილობის მსვლელობის საერთო სურათი?

—

ყრილობა გახსნა საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **ფ. მახარაძემ,** რომელმაც მისასალმებელ სიტყვის შემდეგ, პირდაპირ დასვა საკითხი: რა გააკეთა ამ ხნის განმავლობაში საქართველოს აღმასრულებელმა კომიტეტმა? — ჩვენ განვამტკიცეთ რევოლიუციონური კანონიერება, გადავჭერით მრავალი საჭირბოროტო საკითხები, რომელიც დაკავშირებული იყო მიწის რეფორმასთან, ამ ხნის განმავლობაში მოვიწვიეთ ცაკის სამი სესია, რომელმაც დაამტკიცა ჩვენი რესპუბლიკის კონსტიტუცია, გამოიტანა მნიშვნელოვანი დადგენილებანი სოფლისა და ქალაქის საბჭოების შესახებ, გადაახალისა თემთა საბჭოები, სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეთ ზოგ ჩვენ ორგანოებში გამეფებულ ბოროტმოქმედებას, რომლის აღმოსაფხვრელად მივმართეთ სოციალურ დაცვის უდიდეს ზომასაც, რასაც მოყვა სასურველი შედეგი; შეტანილ იქნა ცვლილება მიწის კოდექსში, რომლის ზოგიერთი გაურკვეველ მუხლების გამო ფარულად ხდებოდა მიწის ყიდვა-გაყიდვა, ეს ბოროტებაც ამჟამათ საგრძნობლად შემცირებულია; უმიწაწყლო გლეხებს დაურიგდა მიწის ფონდიდან მიწის ნაჭრები; ეროვნულ უმცირესობათა კულტურულ დონეს ასამაღლებლად დავაარსეთ კომისია, მოვაწყვეთ აგრეთვე მეორე ახალი ორგანო, — ეს არის სატერმინოლოგიო კომიტეტი, რომლის მიზანია თვალყურის დევნება, რათა ჩვენს ლიტერატურაში თუ კანონმდებლობაში არ შეიპაროს უვარგისი და ხალხისათვის გაუგებარი ტერმინები; დასასრულ მომხსენებელი ეხება საერთაშორისო პოლიტიკურ მდგომარეობას და ასე ათავებს: დე, ასისინონ მწარე ენები ჩვენს წინააღმდეგ ამხედრებულმა მტრებმა, ჩვენ მაინც წარბ შეუხრელად განვაგრძობთ წინსვლას, ჩვენ საბოლოო გამარჯვებამდე, ჩვენ თანდათანობით ვღონიერდებით, ხოლო ბურჟუაზიული სახელმწიფოები, მიუხედავათ მათი უმაღლესი ტეხნიკისა, განვითარებულ საწარმოო ძალებისა, მაინც დაცემისა და დარღვევისაკენ მიექანებიანო

შემდეგი მოხსენება გააკეთა ამიერ-კავკასიის მთავრობის სახელით, **ამხ. ხანოიანმა**, რომელმაც აღნიშნა, რომ ამიერ-კავკასიის კულტურულად და ეკონომიურად აღორძინება შედეგია ჩვენი ფედერაციისა და ერთა სოლიდარული ურთიერთობისა, გამართლდა ფედერაციის იდეია ჩვენს სინამდვილეში და მით აღსრულდა ჩვენი მასწავლებლის ლენინის მონაწერიც: „ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაცია აბსოლიუტურად სწორია და აუცილებელი საჭიროა მისი განხორციელება“-ო.

ყრილობას მიესალმენ: ქართველ მწერალთა სახელით მცხოვანი ბელეტრისტი **დ. კლდიაშვილი,** რომელმაც ხმამაღლა განაცხადა, რომ საქართველოს მწერლობა მუდამ გვერდში უდგა საქართველოს მშრომელ ხალხს,— აწიც ის გულწრფელად იმუშავებს საბჭოთა ხელისუფლებასთან და არ დაზოგავს თავს ჩვენი ქვეყნის კულტურულად აღორძინებისათვისო. შემდეგ სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით ყრილობას მიესალმა პროფ. **შ. ნუცუბიძე,** და აღნიშნა, რომ საქართველოს უნივერსიტეტის ბედი მჭიდროთ არის დაკავშირებული საბჭოთა წყობილების განმტკიცებასათნ, ჩვენ არა გვწამს ის ყალბი აზრი თითქოს უნივერსიტეტი და საერთოდ აკადემიური მუშაობა პოლიტიკის გარეშე უნდა იდგეს, ეს დასავლეთ ევროპის ზღაპრებიაო, დასძენს პროფ. **შ. ნუცუბიძე,** ჩვენ კი მტკიცეთ გვრწამს, რომ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება ეს არის უდავო საწინდარი ჯერ კიდევ ჩვენი ნორჩი უნივერსიტეტის წინმსვლელობისა და აღორძინებისაო.

29 მარტის ყრილობის სხდომაზე, საქართველოს მთავრობის მუშაობის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა მთავრობის თავმჯდომარე ამხ. **შ. ელიავამ;** საბჭოთა კავშირის **საერთაშორისო მდგომარეობის** შესახებ მან სთქვა: — საერთო ასპარეზზე დღეს ბრძოლა აქვს სამ ძალას: პირველია საბჭოთა კავშირი, რომლის ყოველგვარი მუშაობა მიმართულია სოციალიზმისაკენ, მეორე ძალა, არის იმპერიალისტური ქვეყნები, ხოლო მესამე ძალა, აღმოსავლეთი; როგორია ამ ძალთა შორის განწყობილება? ჩვენ კავშირში თანდათან მტკიცდება პროლეტარიატის დიქტატურა და იზრდება მეურნეობა, იმპერიალისტურ ქვეყნებში, კი ფიქრობენ მხოლოდ თავის შერყეული მდგომარეობის შესანარჩუნებლად. რასაც უდებენ სარჩულად მეურნეობის ახალ მეთოდებს, მაგრამ მიუხედავათ ამ ცდისა, ბურჟუაზიის პოლიტიკური ძალაუფლება, მისი ეკონომიური ბატონობა ამჟამათ დიდ კრიზისს განიცდის, ამის დამამტკიცებელი საბუთები ჩვენ საკმაოდ მოგვეპოვება; დღეს იქ ჩქარი ტემპით მიმდინარეობს კლასთა ბრძოლა, თუმცა ისინი ცდილობენ ჩამოაგდონ ზავი კლასობრივ თანამშრომლობის ნიადაგზე და გახადონ მისი ზედა ფენები მონაწილედ იმ მოგებაში, რომელსაც მწარმოებელნ იღებენ მრეწველობიდან. ბურჟუაზიის ყველა „ბრწყინვალე“ მოღვაწეობაში მეტად უწყობს ხელს მე-2 და ამსტერდამის ინტერნაციონალი. მეორე საშუალება, რომელსაც მიმართავს ევროპის ბურჟუაზია, ეს არის ბრძოლა ახალშენების წინააღმდეგ; ჩვენ გვახსოვს ევროპაში ასეთი ბრძოლის რამოდენიმე ასპარეზი; დღეს ბრძოლის ცენტრი გადატანილია ჩინეთში, მაგრამ შანხაის და ნანკინის აღება მოასწავებს იმას, რომ იმპერიალისტურ ბურჟუაზიას არ შეუძლია თავისი პოლიტიკური პოზიციის გამაგრება ჩინეთში; ჩვენს წინააღმდეგ განსაკუთრებით უკანასკნელ ხანებში მიტომ იბრძვიან ასე გაათფთრებით, რომ იმარჯვებს ჩინეთის რევოლიუცია, რომელიც პირდაპირი გაგრძელებაა ჩვენი რევოლიუციის; ამიტომ ცდილობს ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლის ხელმძღვანელი ინგლისი ჯერ ჩინეთი გაანიარალოს და მერე მოსდგეს ჩვენ კავშირს და მით თავიდან მოიცილოს ორივე ძალა, რომელთა გამარჯვება სიკვდილს უქადის მის არსებობას. ჩვენი ამოცანა ასეთ მდგომარეობაში არის — ბრძოლა მშვიდობიანობისათვის და თუ ისტორია გვაიძულებს თავი დავიცვათ. ჩვენ ამას შევძლებთ, დავიცავთ მუშათა კლასის ბატონობას და დავაყენებთ იმ დონეზე, რომ ჩვენ წაგვბაძოს ევროპის მუშათა კლასმა და ძალაუფლება გამოგლიჯოს ხელიდან თავის ბურჟუაზიასო;

შემდეგ ამხ. შ. ელიავა შეეხო საბჭოთა კავშირის საერთო **შინაურ მდგომარეობას.** და კერძოთ საქართველოს შინაური მდგომარეობის შესახებ გადაუშალა ყრილობას შემდეგი სურათი: — ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობა, რომ ურყევია, ეს ნათლად დაადასტურა წელს ჩატარებულმა არჩევნებმა, მან ნათლად დაგვანახვა, რომ დღეს საქართველოში წარმოებს მუშებისა და გლეხების შეათნხმებული მუშაობა, რაც თავდებია ჩვენი მეურნე-

ობისა და მრეწველობის განვითარებისა. ჩვენი მეურნეობის საფუძველი არის **ინდუსტრიალიზაცია**, აი ჩვენი მთავარი ამოცანა. მართალია ჟორდანია - რამიშვილი ბრალს გვდებს, ვითომ ჩვენმა ეკონომიურ სისტემამ განადგურებამდე მიიყვანა ჩვენი ქვეყანა, რომ ჩვენ ვებრძვით კერძო ეკონომიკას, და სხვა, მაგრამ მათი აზრის გასაბათილებლად მე ავალაპარაკებ ციფრებს, რომ ნათლად დავიმტკიცოთ მათი შეხედულების სიყალბე და ჩვენი ალორძინების ფაქტორები:

1913 წელს საქართველოს სასოფლო-მეურნეობის საერთო ნაწარმოების ღირებულება უდრიდა 91 მილიონ მანეთს, სატყეო მრეწველობის — 400 ათას მანეთს და მრიწველობის 28.400.000 მანეთს; სულ სახალხო მეურნეობის პროდუქცია უდრიდა 119 მილიონ მანეთს. 1924—25 წელ'ში კი საქართველოს სასოფლო მეურნეობის საერთო ნაწარმოების ღირებულება უდრიდა 207 მილიონ მანეთს, მრეწველობის — 57 მილ. მანეთს. სატყეო მრეწველობის — 700.000 მანეთს, სულ მთელი სახალხო მეურნეობის პროდუქცია უდრიდა 265.500.000 მანეთს. ეს ციფრები ნათლად მეტყველებენ იმის შესახებ, თუ ჩვენ რამდენათ წინ წავიწიეთ ეკონომიურად. შემდეგ მომხსენებელმა დაახასიათა ცალ-ცალკე ციფრებით ჩვენი მეურნეობისა და მრეწველობის თვითეული დარგი: დაასახელა აგრეთვე საანგარიშო წლის განმავლობაში დაარსებული და მიმდინარე წელს დასაარსებლად განზრახული ფაბრიკა - ქარხნები: აბრეშუმის სახვევ - სართავი თელავში, ხონში და ოზურგეთში; მაუდის ქარხანა ტფილისში, ბარიტის — ქუთაისში, ხე-ტყის სახერხი ქარხნები მცხეთაში და ბზიბში; გრეხილ ავეჯეულობის მარელისში, ტკეჩის — ბორჯომში, ცემენტის ქარხანა—კავთისხევში, ყველის ქარხანა ახალციხესა და დუშეთში, ანგურის — ახალსენაკში და ქუთაისში, ქალალდის ქარხნის აგება დაიწყება წელს შამგონში.

საქართველოს **ბიუჯეტი** კი 1926—27 წელს გამოიხატება შემდეგ ციფრებში: შემოსავალი უდრის 10.143.000 მანეთს, გარდა არა პირდაპირი გადასახადებისა, გასავალი — 11.182.000 მან., გასულ წელთან შედარებით ბიუჯეტი გადიდებულია 15 პროცენტამდე; გარდა ბიუჯეტში შეტანილ ხარჯებისა გათვალისწინებულია ხარჯები შემდეგ დარგებისათვის: მრეწველობისათვის 4 ნახ. მილიონი მანეთი, სასოფლო - მეურნეობისათვის — 1.216.000 მანეთი,საბინაო ამშენებლობისათვის 1.182.000 მან., ელექტროფიკაციისათვის — 1.300.000 მანეთი, ახალშენების მოსაწყობათ და მელიორაციისათვის 3 მილიონ მანეთამდე; ამგვარათ ჩვენი ბიუჯეტი დეფიციტიანია, დოტაციას ვღებულობთ საკავშირო მთავრობიდან. დასასრულ მომხსენებელი შეეხო შრომის საკითხებს, სახალხო ჯანმრთელობას, განათლების საქმის მოგვარებას და სხვა.

ამხ. შ. ელიავას მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს თითქმის ყველა მაზრების და რაიონების წარმომადგენლებმა; ორატორები ერთხმად იწონებდენ მთავრობის საქმიანობას და აღნიშნავდენ თვითეული მაზრის ნაკლს, რომელიც უმთავრესათ გამოიხატება უგზობაში, სასამართლოების დატვირთვაში და სხვა; ოპონენტებს პასუხს აძლევდა სათანადო განმარტებით ნარკომატების წარმომადგენლები. დასასრულ მოსმენილ იქნა ამხ. შ. ელიავას საბოლოო სიტყვა, რის შემდეგ ყრილობა მიიღებს სათანადო დადგენილებებს და რეზოლიუციებს.

დამსწრე.

# ქართველი სოციალისტური ინტელიგენცია და მუშები

რევოლიუცია ყოველთვის და ყოველგან თავისებურია და შესანიშნავი მით, რომ მის დუღილში მასსების შეგნება იცვლება, მის პრაქტიკულ საქმიანობის ასპარეზზე მცხოვრებთა ახალ-ახალი ფენები იძენს გამოცდილებას, სწონის, უკვირდება და ათვალიერებს გუშინდელ შეხედულებას, უკუ აგდებს უვარგისს, ითვისებს სავარგისს, შორდება ძველ ბელადებს, მისდევს ახლებს, და სრულიად გარკვეული გეზით მიდის წინ დასახულ მიზნისაკენ.

ეს უდაო ჭეშმარიტება სამწუხაროდ დღემდე კიდევ ვერ შეუგნიათ, ანდა არ შეუგნიათ ზოგიერთ განდგომილთ, უმთავრესად-კი სოციალისტური პარტიების ყოფილ იდეოლოგიურ ინტელიგენციას. ამ ხალხს წარსულში ახასიათებდა დიადი რევოლიუციონური მოღვაწეობა, მუშათა მასსის პოლიტიკური გათვითცნობიერება, მათი კულტურული დონის აწევა და უშუალო ხელმძღვანელობა რევოლიუციონური იდეის განვითარებისა და გაღვივების საქმეში.

რა მდგომარეობაშია ამ ხალხის პოლიტიკურ ფსიხოლოგიური ძიება დღეს, როდესაც კაცობრიობა უდიდეს სოციალურ მოვლენათა მოწამე შეიქნა, როდესაც რევოლიუციის ძლევამოსილება დღითი დღე ვითარდება და მისი ცხოველმყოფელი სხივები აღმოსავლეთის დამონებულ მასებსაც-კი აღვიძებს, არევოლიუციონერებს, კომუნისტური პარტიის დროშის ქვეშ აერთიანებს და გადამწყვეტ, ეროვნულ განმანთავისუფლებელ ბრძოლისთვის იწვევს დასავლეთის იმპერიალიზმის მტაცებლების წინააღმდეგ ამხედრებს.

ორში ერთი: ეს ყოფილები ან მართლაც რომ პოლიტიკურ ლეშებად გადაქცეულან, რომელთაც მათ მიერ აღზრდილმა მუშათა კლასმა უკანასკნელი სულთათანა უნდა უგალობოს, ანდა ძლიერ ჭკუიანები არიან, პოლიტიკური დიაგნოზი სისწორით დაუსვამთ და მსოფლიოში შექმნილი უჩვეულო პოლიტიკური სიტუაცია ბოლშევიკურ რეაქციათ მიუჩნევიათ.

ქართველი ხალხის პოლიტიკურ ცხოვრების ეკრანზე გაიარა რევოლიუციის სამი უდიდესი პერიოდი. თვითეული მომენტი იყო თავისებური, განყენებული პოლიტიკურ მიმართულების და ბუნების მატარებელი. მაგრამ ამავე დროს იგი იყო საუკეთესო სკოლა მასსის პოლიტიკურად მომზადების, მისი გათვითცნობიერების, რევოლიუციის შენების შესწავლისა და მისი საფუძვლების გამაგრების.

საქ. სოც. დემ. მასა და ქართველი ხალხის მშრომელი მოსახლეობა გარკვეული თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში, სრულის შეგნებით დაუკავშირდა რევოლიუციის განვითარების უკანასკნელ პერიოდს — საბჭოთა ძალა-უფლებას.

ქართველი ხალხის აბსოლიტიური უმრავლესობა დარწმუნდა, რომ ოქტომბრის იდეია როდი არის მარტო პროლეტარული რევოლიუცია, ბურჟუაზიულ სამყაროს სოციალურად გარდაქმნისა და მის ნანგრევებზე შრომის უფლების გაბატონების, მის დროშას აცისკროვნებს აგრეთვე კომუნისტური ინტერნაციონალის ახალი მცნება: დამონებულნო ხალხნო ყველა ქვეყნისა შეერთდით.

საქმე იმაში კი არ არის, რომ საბჭოთა ძალაუფლება ცდილობს ყველგან შეიჭრას, რომ კომინტერნი ყველა მიმართულებით აწარმოებს მუშაობას პროლეტარებისა და დაჩაგრულ ერთა პოლიტიკურ შეკავშირებისათვის, თვით ფაქტი საბჭოთა სახელმწიფოებრივობის წარმოშობის, მისი გმირული ბრძოლა, მისი ხანგრძლივი არსებობა, მისი ზრდა და გავლენა მსოფლიოს ყველა კუთხეში, აკავშირებს, აკაჟებს და ბრძოლის სურვილს უნერგავს იმპერიალიზმის ჩექმის ქვეშ მგმინავ ყველა დაბეჩავებულ ერებს.

1920 წელში საბჭოთა რუსეთმა სამხედრო კავშირი შემოგვთავაზა. საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ მას გადაჭრილი უარი უთხრა.

რა მოხდებოდა, რომ რუსეთთან კავშირში შევსული ყავით? თუ არ მოვიგებდით, არაფერს წავაგებდით.

ეს ჩვენ არ ვქენით. რევოლიუციონურ რუსეთთან ყოფნას, დაასვლეთის იმპერიალიზმის კავშირში ყოფნა ვარჩიეთ. და ამავე დროს თითქოს სახელმწიფოებრივი ნეიტრალობაც გამოვაცხადეთ.

დაგვავიწყდა რომ ნეიტრალობას მაშინ აქვს აზრი და შინაარსი, როდესაც მისი მატარებელი ესა თუ ის სახელმწიფო ძლიერია ფიზიკურად, ვისაც ძალა აქვს, დამოუკიდებელიც ის არის და ნეიტრალობაც მას შეუძლია გატაროს...

ჩვენ არც ერთი გაგვაჩნდა და არც მეორე. ჩვენი უილაჯო საგარეო დიპლომატია გააბრუა ევროპიდან ბოძებულმა დე-იურემ და სულ გამოუშვა მხედველობიდან ის გარემოება, რომ მას ესაჭიროებოდა საბჭოთა რუსეთთან კეთილმეზობლური განწყობილება.

შეუყურებლით რუსეთში წარმოებულ სამოქალაქო ომებს და გვჯეროდა ბოლშევიკების უთუო დამარცხება, ვამაყობდით მით, რომ რევოლიუციის მებაირახტრე, მისი მიღწევების ნამდვილი დამცველი და პატრონი იყო საქართველოს დემოკრატია საერთაშორისო დემოკრატიასთან დაკავშირებით. ამ მიმართულებით ჩვენ განვიცადეთ სასტიკი მარცხი.

დამარცხდა საქ. ს. დ. პარტია და დამარცხდა მისი პოლიტიკა, მისი ტაქტიკა.

საქართველოში დამყარდა ხელისუფლება იმ კომუნისტური პარტიისა, რომელმაც საქართველოს ს. დ. პარტიას ასეთი საშინელი დამარცხება არგუნა. ამ უკანასკნელმა თავისი პირადი დამარცხება ქართველი ხალხის დამარცხებათ მიიღო, და თავისი პირადი მტერი კომუნისტური პარტია ხალხის დამოუკიდებლობის მოსისხლე მტრად აღიარა.

მაგრამ განვლო ხანმა და ახალმა ხელისუფლებამ ყველას დაანახა, რომ ის არამც თუ მტერია საქართველოს დამოუკიდებლობის, პირიქით იგი მთელის თავის ძალღონით შეუდგა საქართველოს დამოუკიდებლობის რეალური საფუძვლების შექმნას...

ქართველმა მუშა და გლეხმა, ესე იგი ერის მშრომელმა ნაწილმა, იმ ნაწილმა, რომელსაც არ სჯერა სიტყვების თამაში, რომელიც აღზრდილია ცხოვრების სინამდვილეში, და რომელიც ხილულ ფაქტს უწევს ანგარიშს, შეიგნო და შეითვისა ხელისუფლების ასეთი სურვილი და მიტომაც გვერდში ამოუდგა მას, გაიზიარა მისი ჭირი და ლხინი. ხოლო ეს ვერ შეიგნო სიტყვებზე და ფორმულებზე აღზრდილმა ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა. ის ისევ ძველ პოზიციას შერჩა, ის ისევ ძველებურად გასტირის თავის წარსულ დიდებას, ის ისევ ოცნებობს ხელმოუქიდებელ იმედებზე, ოცნებობს იმ მოჩვენებულ „დამოუკიდებლობაზე“, რომელიც მას ჰქონდა და სულაც არ უწევს ანგარიშს ახალ აღმშენებლობითი მუშაობას, ერის დამოუკიდებლობის ნამდვილ საფუძვლების შექმნას.

იქნება ზოგი მათგანი კიდეც მუშაობდეს სახელმწიფოს ამა თუ იმ დაწესებულებაში, მაგრამ ეს ისე, აუცილებლობის გამო, საზრდოს მოპოების მიზნით. სინამდვილეში-კი მათ დაუკარგავთ ძველი ფოლადი, დაუკარგავთ ძველი აქტივობა.

ეს რომანტიზმით შეპყრობილი ხალხი აზროვნობს და ცხოვრობს მოგონებით, მას ვერ შეუგნია ცხოვრების ახალი პირობები, მისი მომავალი პერსპექტივები, ვერ მოუხერხებია ახალ აღმშენებლობაში აქტიური მონაწილეობის მიღება.

თუ არა ამ რომანტიზმით გატაცება, მაშ რითი უნდა აეხსნათ ის გარემოება, რომ დღეს მათ ვერ ხედავს თავის რიგებში მათი ყოფილი ამხანაგები, მათი ყოფილი მოწაფეები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად ქმნიან თავისი ქვეყნისა და ერის დამოუკიდებლობას, იბრძვიან რევოლიუციის საბოლოო გამარჯვებისათვის.

მათი ყოფილი ამხანაგები და მოწაფეები ჯერ კიდევ არ კარგავენ იმედს, რომ სოციალისტური ინტელიგენციის ეს ნაწილიც, მალე გამოერკვევა რომანტიზმის ბურუსიდან და დაუბრუნდება თავის ძველ ოჯახს, თავის გზას, დაუბრუნდება რევოლიუციის კერას.

**ა. ვადაჭკორია.**

# მთლიანი ფრონტი

„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდითო“— გადმოისროლეს ლოზუნგი მეცნიერული სოციალიზმის მამამთავრებმა და მოუწოდეს მშრომელთ საერთო ფრონტის შესაქმნელად. იმ დღიდან ეს ლოზუნგი რჩება უკვდავათ.

მიუხედავათ იმისა, რომ ჯერ კიდევ ვერ მოუხერხებია საერთაშორისო პროლეტარიატს ამ ლოზუნგის განხორციელება, მიუხედავათ იმისა, რომ ბევრ ადგილას პროლეტარიატი დღესაც გათიშულია, საერთო ფრონტის იდეა მაინც ცოცხალია და ეს არის საწინდარი მისი საბოლოვო გამარჯვებისა.

ჩვენს მასწავლებლებს კარგათ ესმოდათ, რომ სწორად გაგებული პროლეტარული ინტერესები ერთმანეთს არ უპირდაპირებენ მუშათა კლასის სხვადასხვა ჯგუფებს, არც ერის შიგნით და არც მის გარეთ. პირ-იქით, მშრომელი კლასის ხსნა მხოლოდ ამ შეერთებაშია, ამ საერთო ფრონტის შექმნაში და ვინც ამისთვის იბრძვის, ის არის პროლეტარიატის ინტერესების ნამდვილი დამცველი. ასე ესმოდათ საკითხი მეცნიერული სოციალიზმის მამამთავრებს; მათ იცოდენ, რომ პროლეტარიატის გაერთიანებულ ფრონტს მისი მოწინააღმდეგე კლასების ფრონტი ვერ გაუძლებდა. იმის საუკეთესო მაგალითი, თუ რა შეუძლია პროლეტარიატის მთლიან ფრონტს, მოგვცა რუსეთის და შემდეგ საბჭოთა კავშირის პროლეტარიატმა, რომელიც დღეს განაგებს მთელი ქვეყნიერების მეექვსედ ნაწილს და შედგომია სოციალიზმის განხორციელებას. მიუხედავათ იმისა, რომ დანარჩენი ქვეყნების ბედიღბალს განაგებენ არა-პროლეტარული კლასები, ის მაინც მტკიცედ დგას თავის პოზიციაზე და არავის წინ არ იხრის ქედს. რასაკვირველია, აქ ის ანგარიშში იღებს იმასაც, რომ სხვა ქვეყნებშიაც ძლიერი თანამგრძნობები ყავს ადგილობრივი პროლეტარების სახით, და თუ ისინი ჯერ მისი აქტიური მოკავშირენი ვერ გამხდარან, იმის ხებას მაინც არავის მისცემენ, რომ თავისთავად დაესხან თავს საბჭოთა კავშირს, როგორც ეს ბურჟუაზიულ კლასებს სურთ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღევანდელ მომენტში. და ესეც იმ საერთო ფრონტის ნაყოფია, რომელიც ჯერ მხოლოდ უჩინარი ძაფებით არის გაბმული.

მაგრამ ეს არ კმარა. პროლეტარიატისთვის საჭიროა, რომ ეს ერთიანი ფრონტი ყველასათვის თვალსაჩინო გახდეს და ფოლადის სიმტკიცით ჩამოყალიბდეს. მაშინ მთელი თავისი სივრცით და სიდიადით დადგება საკითხი „ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაციის“ შესახებ და გადაწყდება კიდეც **საბოლოვოთ** მშრომელთა სასარგებლოთ.

ამ ერთიანი ფრონტის შესაქმნელად იბრძოდა ყოველთვის ჩვენი პროლეტარიატი. მას არა ერთი და ორი მისი საუკეთესო წევრი შეწირვია და არც მომავალში უღალატებს იგი ამ გზას. პირ იქით ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ჩვენი პროლეტარიატი ყოველთვის ამ საერთო ფრონტის პირველ რიგებში იქნება.

**ნ. ელიავა.**

# იმპერიალისტური სახელმწიფოები და საბჭოთა კავშირი

კაპიტალიზმის განვითარებამ ბუნებრივად წარმოშვა იმპერიალიზმი. მე-19 საუკუნეს ახასიათებს როგორც კაპიტალიზმის განვითარება, ისე იმპერიალიზმის აღორძინებაც. იმპერიალიზმი კაპიტალიზმის უმაღლესი საფეხურია. ამავე საუკუნის მეორე ნახევარში ევროპის სახელმწიფოების ნაციონალური კაპიტალი ვეღარ ეტევა თავის კანში და ის ეძებს ახალ დასაყრდენ ბაზას თავისი შემდეგი განვითარებისათვის.

ერთის მხრით ნაწარმოების ბაზრის სიმცირემ და მეორეს მხრით ნედლი მასალის ნაკლებობამ აიძულა კაპიტალიზმის მესვეურები თავიანთი სახელმწიფო საზღვრების გარეშე ეძებნათ როგორც ნაწარმოების გამსაღებელი ბაზარი, ისე ნედლი მასალის წყაროც.

როგორც ცნობილია, კაპიტალიზმის ყველაზე ადრე განვითარება მოხდა ინგლისში და მანაც ძალიან ადვილად მოახერხა ხელში ჩაეგდო მსოფლიო ბაზრის თითქმის ორი მესმედი ნაწილი.

რომ თავი დავანებოთ სამხრეთ-ამერიკას, აფრიკას, და ავსტრალიას, სადაც უკანასკნელ დრომდე განუკითხავად ბატონობდა ინგლისელი კაპიტალისტები, აზიის ვეებერთელა ტერიტორიის მთავარი ნაწილებიც ინგლისის განკარგულებაში იყო. ჩინეთის 400 მილიონიანი ტერიტორია და 350 მილიონი ერით დასახლებული ინდოეთი, საუცხოვო ასპარეზს წარმოადგენდა ინგლისის კაპიტალიზმის განვითარებისათვის.

მაგრამ ეს იყო წინეთ, როდესაც ევროპის დანარჩენ სახელმწიფოებში, კაპიტალიზმის განვითარება კიდევ არ იყო იმ დონემდე მისული, რომ მისთვის აუცილებელი ყოფილიყო კოლონიალური პოლიტიკის წარმოება.

იმ დროს საფრანგეთი წარმოადგენდა ხშირი რევოლიუციებით დასუსტებულ წვრილ-ბურჟუაზიულ ქვეყანას, გერმანია დაქუცმაცებული იყო პატარა სამთავროებათ და ნახევრად ფეოდალურ სახელმწიფოდ ითვლებოდა. იტალია გართული იყო ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, ავსტრო-უნგრეთი ეკონომიურად ჩამორჩენილ კუთხედ ითვლებოდა, ხოლო რუსეთის თვითმპყრობელობას სრულიადაც არ აინტერესებდა კაპიტალიზმის განვითარება და მის წაკმაოდ ფართო ტერიტორიას პირიქით, ეჭირვებოდა უცხო კაპიტალის დახმარება საკუთარი ბაზრის საჭიროებისათვის.

რაც შეეხება ამერიკას და იაპონიას, ისინი ხომ მეოცე საუკუნის დასაწყისში გამოვიდნენ საზოგადოებრივ ასპარეზზე როგორც იმპერიალიზმის მოციქულები. ხოლო ევროპის დანარჩენი პატარა სახელმწიფოები ამ პირობებში მხედველობაში მისაღები არ არიან.

ასეთი იყო მდგომარეობა იმ დროს, როდესაც ინგლისმა მოახერხა მსოფლიო ბაზრების თითქმის მშვიდობიანად დაპყრობა. მაგრამ ეს მშვიდობიანობა დიდხანს არ გაგრძელებულა.

ფინანსიურად მოღონიერებულმა საფრანგეთმა უკვე შეუდგა ბაზრების ძებნას. რაც შეეხება გერმანიას, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში რკინის კანცლერ ბისმარკის თაოსნობით, რომელმაც 70-71 წელს სასტიკად დაამარცხა საფრანგეთი და მას 5 მილიარდი ოქროს მარკა გადაახდევინა, მალე შესძლო დაქსაქსულ სამთავროების შემჭიდროება და კაპიტალიზმის განვითარება ისეთი ჩქარი ტემპით წავიდა წინ, რომ მეოცე საუკუნის დასაწყისში ის უკვე გახდა ერთი ძლიერი კაპიტალისტური სახელმწიფო ინგლისის შემდეგ.

ამ ხნის განმავლობაში იტალიამაც თავი დააღწია ეროვნულ მონობას და ტერიტორიალურათ შევიწროებულმა მანაც დაიწყო ცქერა სხვისი მიწა-წყალის მისაკუთრებისათვის.

რაც შეეხება იაპონიას, მან პირველად თავისი ძალები 1904 წელში რუსეთზე გამოსცადა შორეულ აღმოსავლეთში მაშინ რუსეთში გაბატონებულ თავად-აზნაურობას სასაცილოდაც არ მიაჩნდათ პატარა „გაუნათლებელ“ იაპონიის მიერ ბუმბერაზ რუსეთისათვის ომის გამოცხადება, მაგრამ მალე გა[illegible]ირკვა, რომ იაპონია უკვე საკმარისად ძლიერი იყო ფეოდალურ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში.

სხვათა შორის, დღევანდელი ჩინეთის რეაქციის სულის ჩამდგმელი ჩან-ძო-ლი-ი იმ დროს უბრალო ყაჩაღების მეთაური იყო, რომელმაც თავისი დახმარება შესთავაზა რუსეთის სარდლობას და ამ უკანასკნელისაგან უარი მიიღო იმ იმედით, რომ იაპონიის მხედრობას საკუთარი ძალითაც დაამარცხებდენ.

რა გამოააშკარავა რუსეთ-იაპონიის ომმა?

ამ ომის შემდეგ ყველასათვის ნათელი გახდა, რომ ფეოდალურმა წესწყობილებამ უკვე მოსჭამა თავისი დრო და ის უნდა ჩაბარდეს ისტორიას, ხოლო მის მემკვიდრედ სცენაზე გამოვიდა კაპიტალისტური წყობილება. აქ ნათლად გამოააშკარავდა, რომ მომავლ ომებში უპირატესობა ექნებოდა არა ჯარის სიმრავლეს, არამედ ტეხნიკის განვითარებას. პატარა იაპონიამ განვითარებულ ტეხნიკის საშუალებით სასტიკად დაამარცხა მასზე რიცხვობრივად გაცილებით მეტი რუსეთის მხედრობა და თვითმპყრობელობას კარგა მოზრდილი ლუკმა წააგლიჯა.

რუსეთის ჯარების დამარცხებამ ნიადაგი მოუმზადა 1905 წლის რევოლიუციას. მართალია თვითმპყრობელობამ შესძლო ამ რევოლიუციის დამარცხება, მაგრამ ამის შემდეგ თვითონაც დაუძლურებული გამოვიდა. ის იძულებული გახდა რუსეთის უხერხემლო ბურჟუაზიისთვის ერთგვარი ძვალი გადაეგდო სახელმწიფო სათათბიროს სახით.

ამ დროიდან რუსეთის ბურჟუაზიამაც იწყო ოცნება დარდანელის სრუტისა და სტამბოლის ხელში ჩაგდების შესახებ, თუმცა სიმართლე უნდა ითქვას რუსეთის ბურჟუაზია სულაც არ იყო მომზადებული კოლონიალური პოლიტიკის წარმოებისათვის.

ასეთ პირობებში მზადდებოდა ნიადაგი მსოფლიო ომისათვის. ამ ომის აუცილებლობაზე ჯერ კიდევ ოცი-ოცდაათი წლის წინედ სწერდენ მუშათა კლასის გამოჩენილი ბელადები.

წინასწარ ჩამოყალიბდა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ორი ჯგუფი. ერთ მხარეზე იყო გერმანია, ავსტრო-უნგრეთი, იტალია და ოსმალეთი, მეორეზე ინგლისი, საფრანგეთი და რუსეთი—ანტანტის სახით, თუმცა პირველ ჯგუფს ომის დროს გამოაკლდა იტალია, რომელიც შეუერთდა ანტანტის სახელმწიფოებს და თავისი მოკავშირეების წინააღმდეგ გაილაშქრა.

იმპერიალისტებმა ამ ომის დასაწყებად პატარა ფარსი გაითამაშეს. მათ სამხრეთ-სლავიის ქალაქ სარაევოში მოაწყვეს ავსტრიის პრინცის მკვლელობა და ვითომ ეს გამოაცხადეს საბაბათ ომის დაწყებისათვის.

მაგრამ მარტო ეს მკვლელობა არ იყო საკმარისი იმისათვის ,რომ მშრომელი მასების ფართე ფენები ჩაეთრიათ ომში და ამიტომ უაღრესად იმპერიალისტური მსოფლიო ომი გამოაცხადეს დაჩაგრულ ერთა განმათავისუფლებელ ომათ. ანტანტის კავშირში შემავალი იმპერიალისტები გაჰკიოდენ გერმანიის ბარბაროსობაზე, ხოლო უკანასკნელი კი წინააღმდეგს ამტკიცებდა.

აკი ამ ლათაიებმა მშვენივრად იმოქმედა მეორე ინტერნაციონალის ბელადებზე და ისინი დაუყოვნებლივ ამოუდგენ გვერდში თავიანთ მთავრობებს „სამშობლოს დაცვის“ საქმეში. ბურჟუაზიამ სოციალისტები მთავრობაში მიიპატიჟა და სამინისტრო სავარძლები უბოძა. ასე მოხდა საფრანგეთში და ბელგიაში, სადაც მეორე ინტერნაციონალის ბელადმა ვანდერველდემ სამინისტრო პორტფელი ჩაიბარა.

ნაკლები მოღვაწეობა არც გერმანიის სოციალ დემოკრატების ბელადებს მიუძღვით. მათი დამსახურების შესახებ აკი აღნიშნეს ამას წინად იბერტის შეურაცყოფისათვის პასუხისგებაში მიცემულ ერთ-ერთ ბურჟუაზიულ

გაზეთის რედაქტორის გასამართლების დროს დაკითხულმა მოწმე გენერლებმა.

მსოფლიო ომი დასრულდა გერმანიისა და მისი მოკავშირეების დამარცხებით. მიუხედავად მუშათა კლას. მიერ გაღებულ უამრავი მსხვერპლისა, მან მაინც დიდი სარგებლობა მოიტანა მშრომელ მასების გამოფხიზლების საქმეში.

აგრეთვე მსოფლიო ომმა უსათუოდ დააჩქარა გერმანია-ავსტრო-ჰუნგრეთის მონარქების დამხობა და რუსეთის სოციალისტური რევოლიუციის მოხდენა.

ოქტომბრის რევოლიუციამ ძირიან-ფესვიანად შესცვალა მსოფლიოს მდგომარეობა. აქ უკვე ორი ძალა დაუპირდაპირდა ერთი-მეორეს. ერთ მხარეზეა ყველა კაპიტალისტური სახელმწიფოები, ხოლო მეორეზე საბჭოთა კავშირი. ამ ორი ძალის დიდი ხნით არსებობა შეუძლებელია. ერთმა მეორეს უნდა დაუთმოს ალაგი.

როდესაც ჩვენ ამას ვამბობთ, ვიცით ზოგიერთები ღიმილით შენიშნავენ, რა შედარებაა, სად საბჭოთა კავშირის ძალა და სად დანარჩენი კაპიტალისტური სხელმწიფოებისო. მართალია, ეკონომიურად და ტეხნიკურად შეიძლება ჯერ-ჯერობით უფრო ძლიერია კაპიტალისტური სახელმწიფოები ერთად აღებული, ვინემ საბჭოთა კავშირი, მაგრამ ამ უკანასკნელის ხელში ისეთი უპირატესობაა, რომელიც ეკონომიურ და ტეხნიკურ უპირატესობაზე გაცილებით უფრო ძლიერია.

განვიხილოთ ამ ორ მოპირდაპირის შესაძლებლობანი. დავიწყოთ იმპერიალისტური სახელმწიფოებიდან. ისინი რასაკვირველია, როგორც ეკონომიურად, ისე ტეხნიკურადაც მაღლა სდგანან საბჭოთა კავშირზე. მაგრამ სამაგიეროთ მათ ბევრი რამ აკლიათ იმისათვის, რომ შესძლონ საბჭოთა კავშირის დამარცხება. ომის წარმოებისათვის საკმარისი არაა მარტო მაღალი ტეხნიკა. აქ საჭიროა მშრომელთა თანაგრძნობაც.

როგორია ამ მხრივ მათი მდგომარეობა?

გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ არა თუ მუშათა კლასი, თვით წვრილ - ბურჟუაზიული მასებიც არ არიან მომხრე საბჭოთა კავშირთან ომის წარმოებისა და ამ კავშირს სრული თანაგრძნობით უყურებენ. ეს ერთი იარაღი.

მეორე: იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის მუდამ არსებობდა და ეხლაც არსებობს ჩუმი კინკლაობა. ისინი პირში ერთმანეთს ელაქუცებიან, ზურგს უკან კი სამარეს უთხრიან. ამის მაგალითები უამრავია. მაგალითისათვის აიღეთ ინგლისი, რომელიც გერმანასთან მოლაპარაკებას მართავს საფრანგეთის წინააღმდეგ, საფრანგეთთან გერმანიის წინააღმდეგ, იტალიასთან ისევ საფრანგეთ. წინააღმდეგ და ასე ბოლომდის. ასეთივე ინტრიგებს ეწევა დანარჩენი იმპერიალისტური სახელმწიფოებიც. ამის დასამტკიცებლად აურებელი მაგალითების მოყვანა შეიძლება, მაგრამ ამჟამად ამით დავკმაყოფილდეთ,რადგან ეს არ შეადგენს ჩვენი წერილის დღევანდელ თემას.

ავიღოთ მესამე საბუთი: მსოფლიო ომის დროს იმპერიალისტური სახელმწიფოები მაგრათ გრძნობდენ თავს თავიანთ კოლონიებში. ინგლისი განსაკუთრებით კოლონიალური ჯარებით აწარმოებდა ომს.

როგორია ამჟამად მდგომრეობა?

ჩინეთში ხდება გადამწყვეტი ბრძოლა იმპერიალისტების წინააღმდეგ. ინდოეთშიც აღარაა მშვიდობიანი განწყობილება ინგლისის მიმართ, სირიაში ადგილი ჰქონდა დიდ აჯანყებას საფრანგეთის იმპერიალისტების წინააღმდეგ, მაროკოში ხომ ორი წელიწადი სწარმოებდა ბრძოლა საფრანგეთისა და ესპანეთის ბატონობის დასამხობად აბდ-ელ-ქერიმის მეთაურობით, ეგვიპტემ თითქმის მოიპოვა სრული დამოკიდებლობა. ასეთივე მღელვარებას აქვს ადგილი დანარჩენ კალონიებშიც.

ტყუილად ცდილობს ინგლისის დღევანდელი მესვეურები საიმპერიო კონფერენციების მოწვევით დომინიონებსა და კალონიებში მოძრაობის შეჩერებას.

აი, სამი მთავარი მიზეზი იმპერიალისტების სიუძლურისა.

რა უპირატესობით სარგებლობს საბჭოთა კავშირი?

პირველ ყოვლისა ის წარმოადგენს ნებაყოფლობით შეკავშირებულ ერთა კავშირს, რომლებიც მოსალოდნელ საფრთხის დროს სალ კლდესავით აღიმართება მოპირდაპირის წინააღმდეგ.

მეორეს მხრით მსოფლიო მუშათა კლასის თანაგრძნობა საბჭოთა კავშირისკენაა მიმართული და ის ადვილად არავის მისცემს ნებას ამ კავშირის წინააღმდეგ გალაშქრებლად.

მესამედ ყველა დაჩაგრული ერები საბჭოთა კავშირში ხედავენ თავიანთ განთავისუფლების საწინდარს და იმპერიალისტები მათ ვერ გამოიყენებენ ნედლ მასალათ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლაში. პირიქით, ომის შემთხვევაში ზურგში მახვილს ჩასცემენ თავიანთ მყვლეფელებს.

ამიტომაა, რომ იმპერიალისტები დღემდის ითმენენ საბჭოთა კავშირის არსებობას და მის წინააღმდეგ გალაშქრებას ვერ ბედავენ. და სრულიად მიზანშეწონილი იყო ამხ. სტალინის განცხადება, რომელიც ამ ცოტა ხნის წინად გამოქვეყნდა გაზეთებში მოსალოდნელი ომის საშიშროების შესახებ, რომელმაც განმარტა, რომ, „ომი არ არის მოსალოდნელი არც გაზაფხულზე და არც შემოდგომაზე".

იმპერიალისტებს დიდი სურვილი აქვთ საბჭოთა კავშირის მოსპობის, მაგრამ ისინი ამჟამად მოგვაგონებენ იმ თაგვების არაკს, რომლებსაც სურდათ კატისთვის ეჟვანის შებმა, მაგრამ მისი განხორციელება კი ვერ შესძლეს.

ჩინეთის რევოლიუციის გამარჯვებით დაგვირგვინების შემდეგ ეს შესაძლებლობაც კიდევ უფრო დაიჩუტება.

კოლონიალური ერების ჩაგვრის შესაძლებლობას ბოლო ელება, მის ადგილს იჭერს ერთა განმათავისუფლებელი მოძრაობა აღმოსავლეთში, რომელსაც ბუნებრივად უნდა მოჰყვეს სოციალისტური რევოლიუციები დავლეთში.

ხ. ელიაძე

# ჩინეთის რევოლიუცია და იმპერიალისტური მტაცებლები

ჩინეთის ეროვნულმა მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო ევროპა - ამერიკის მტაცებლური ბურჟუაზიის წინააღმდეგ. მოხდა ის რაც ადრე უნდა მომხდარიყო: ჩინეთის ხალხის ეროვნულმა გრძნობამ გაიღვიძა. წინმსვლელობის გზაზე შემდგარმა ჩინეთის მრავალმილიონიანმა მოსახლეობამ იგრძნო აუცილებლობა ეროვნული თავისუფლებისა. დღეს ის უკვე აწარმოებს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ყველა მათთან. ვინც ხელს უშლის მის წინ მსვლელობას.

დიდი ხანია ჩინეთის ხალხის სულში ღვიოდა რევოლიუციონური გრძნობა — და დადგა დრო, როდესაც ის თავის მტრებს ღირსეულად უსწორდება. მთავარი მტერი ჩინელი ხალხისა იყო და არის ინგლისი თავისი მტაცებლური კოლონიალური პოლიტიკით. გაუმაძღარი ინგლისი ველარ ისვენებს, ის ხან იქით აწყდება და ხან აქეთ, ხან აფრიკაშია და ხან აზიაში. მას სწყურია სისხლი თავისი არსებობისათვის. ინგლისის ბურჟუაზია ერთ დღესაც ვერ იცოცხლებს, თუ მას ხელიდგან გამოეცალა ახალშენები: და „თურმე" კიდევ მოიძებნებიან ჩვენში ისეთი ხალხი, რომლებიც აქეთ - იქეთ დაძრწიან და ქადაგებენ: „რომ ინგლისი იბრძვის ეროვნული თავისუფლებისათვის და რომ ინგლისი წვრილ ერების მოსარჩლეა ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლაშიო".

ასე აზროვნებენ ყველა პირწავარდნილი დამქაშები ბურჟუაზიისა.

ინგლისი რომ სხვა ერთა თავისუფლების მოყვარული იყოს, ის პირველ - ყოვლისა გაანთავისუფლებდა ინდო-

ეთს, არაბეთს, ეგვიპტეს და სხვათ, რომლებსაც სული ხდებათ ინგლისის მძიმე ბატონობის ქვეშ. მაგრამ თურმე რაც მიუღებელი ყოფილა სხვისათვის ის მისაღები ყოფილა ინგლისისათვის—და წარმოიდგინეთ ინგლისისათვის ისიც კი მისაღები ყოფილა, რომ მან ყუმბარები დაუშინოს ჩინეთის მოსახლეობას იმისათვის, რომ მწარე ბედით განაწამები ჩინელი ხალხი თავისუფლებისათვის იბრძვის, იმიტომ, რომ მას სურს თავი გაინთავისუფლოს ჯალათებისაგან. ჩინელი ხალხი იბრძვის თავისუფლებისათვის; ინგლისი ამერიკა და იმპერიალისტური სახელმწიფოები იბრძვიან [illegible]არგული უფლებისათვის. ჩინეთის ეროვნული მოძრაობა მიმართულია მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ. მათი გამარჯვება იქნება მსოფლიო ბურჟუაზიის დამარცხების ერთი საფეხურთაგანი და შეიძლება დანამდვილებით ითქვას ეხლა, რომ შორს არ არის ის დრო, როდესაც ჩინელი ხალხი სრულ გამარჯვებას იდღესასწაულებს.

მეფის მთავრობის დროს, ბევრჯელ წამიკითხავს ბურჟუაზიულ გაზეთებში, რომ ინგლისი ერთად - ერთი სახელმწიფოა, რომელიც იცავს წვრილი ერების თავისუფლებასო. ასე უგალობებენ სომხეთის ერს და მრავალი წლობით პირდებოდენ განთავისუფლებას ოსმალეთის ბატონობისაგან. მაგრამ ინგლისისა და დაშნაკელების პოლიტიკამ მთლად გაანადგურა სომხის ერი. დღეს ინგლისი კვლავ ცდილობს ეს ძველი პოლიტიკა გადმოიტანოს ამიერ - კავკასიაში და აქ ეძებს იმას, რასაც სხვაგან ყოველდღე აცლიან ხელიდგან. მაგრამ საქმე ის არის რომ ვინლა დაუჯერებს მათ დამქაშებს, რომლებიც ზურგს უკან დგანან და ეალერსებიან თავიანთ მხსნელს ჩემბერლენს. საყურადღებოა, რომ სხვადასხვა ჯურის სოციალისტები კი ხმასაც არ სძრავენ ჩინეთის ეროვნულ მოძრაობაზე. ეტყობა, ისინი მხოლოდ შორიდგან უყურებენ სეირს. მე-2 ინტერნაციონალის ბელადები ტაშს უკრავენ ჩემბერლენს...

ჩინეთის მშრომელმა ხალხმა კარგად იცის, თუ ვინ არის მისი ინტერესების დამცველი და ის ორსავე თვალით იყურება მე-3 კომუნისტურ ინტერნაციონალისაკენ.

დღეს ნელ - ნელა იღვიძებს პატარა და დამონებული ერები და კიდევ ბევრ ადგილას ამოძრავდებიან. ჩვენი მშრომელი ხალხის ყურადღება მიპყრობილი უნდა იყოს ჩინეთსა და ინდოეთისაკენ. ყველას კარგად უნდა გვახსოვდეს ისიც, თუ რა პასუხი გასცა „მუშათა მთავრობის“ თავმჯდომარემ ბ-ნმა მაკდონალდმა ინდოეთის დელეგაციას, რომელიც „პატარა“ ავტონომიას მოითხოვდა. მაკდონალდის პასუხი იყო: „თქვენ ჯერ კიდევ არა ხართ მომზადებული ავტონომიისათვისო“.

ჩინეთის ხალხმა მოინდომა თავისი თავის პატრონობა და ეს ეუცხოვათ მსოფლიო მტაცებლებს. მათ აწუხებთ ის, რომ განთავისუფლებულ ჩინეთს ისენი ველარ გაცარცვავენ და მათ უდარდელი ცხოვრება დაეკარგებათ. ჩინეთის ხალხი ამას შემდეგ არავის არ მისცემს იმის უფლებას, რომ ის გაცარცვონ. ინგლისის ბურჟუაზიის მესვეურებს ძილი დაუფრთხათ ჩინეთის მოძრაობას. სხვა მოძრაობაც არ მოჰყვეს თანო. ფიქრი საფუძვლიანია და ეს ასეც უნდა მოხდეს. ჩინეთის გამარჯვება ფაქტია.

ჩვენ გვწამს, რომ მალე ასევე მოხდება ინდოეთშიაც.

**სანდრო გვიმრაძე.**

# ერთა სოლიდარობის დემონსტრაცია

ეროვნულ საკითხის გადაჭრა და ცხოვრებაში გატარება ისეთ ქვეყანაში, რომელიც სხვადასხვა ერით არის დასახლებული ძლიერ ძნელ საქმეს წარმოადგენს. საქართველო მრავალ ერიანი ქვეყანაა. საქართველოს პატარა ტერიტორიაზე მრავალი ერი ბინადრობს, განსაკუთრებული კულტურითა და ზნე-ჩვეულებით.

თვითმპყრობელური რუსეთი, ნაცვლად ერთაშორის სოლიდარობის განმტკიცებისა, ხელს უწყობდა სიძულვილსა და მტრობის გაღვივებას.

ეს ასეც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ერთა შორის ქიშპობა, მტრობა და ურთიერთისადმი სიძულვილი ბუნებრივად იწვევდა ამ ერთა დაკნინებას, კულტურულად და ეკონომიურად დაქვეითებას და მეფის რეჟიმის სიმტკიცის საფუძველიც ხომ ხალხთა სიბნელე იყო და არის ყოველგან.

როდესაც რევოლიუციონურმა ტალღამ მეფის რეჟიმი წალეკა, მრავალ ერიან კუთხეებში საშინელი მემკვიდრეობა დარჩა: შური, მტრობა და ერთიმეორისადმი სიძულვილი.

ასეთი განწყობილება იყო ერთაშორის საქართველოშიაც და რევოლიუციონური ხელისუფლების მოვალეობა იყო ამ ძველი, მტკივნეული ადგილის—ერთა შორის მტრობა-სიძულვილის მოსპობა და სოლიდარობის განმტკიცება.

ამ როლის შესრულება საქართველოში პირველად მენშევიკურმა ხელისუფლებამ იკისრა, როგორ შეასრულა მან ეს?

მართალია, მენშევიკური პარტია და მთავრობა ერთა სოლიდარობის ლოზუნგით გამოდიოდენ, მაგრამ, სამწუხაროდ მათი პრაქტიკული საქმიანობა შედეგად სავალალო ფაქტებს იძლეოდა. ნაცვლად ერთა სოლიდარობისა, გადავიკიდეთ მეზობლები, ვერ შევიგუეთ საქართველოს შიგნით მცხოვრები პატარა ერები და ეროვნულ ფრონტზე, როგორც გარედან, ისე შიგნიდან განუწყვეტელი ბრძოლა გვქონდა გამართული.

როდესაც საქართველოში საბჭოთა წესწყობილება დამყარდა, ხელისუფლება კვლავ ძველის-ძველი მემკვიდრეობა—ერთა შორის მტრობა-სიძულვილი დახვდა.

ამ გვარად პირველი საკითხი, რომლის მოწესრიგებაზე იყო დამოკიდებული ნორმალური აღმშენებლობითი მუშაობის დაწყება—ეროვნული საკითხი იყო.

საბჭოთა ხელისუფლებაც მთელი თავისი ენერგიით შეუდგა ამ საკითხის მოწესრიგება-მოგვარებას. არა ქართულ ტომებს მიეცათ სრული შესაძლებლობა ეროვნულ-კულტურულ განვითარებისათვის. საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში დაარსებული იქნა სამხრეთ-ოსეთის, აფხაზეთისა და აჭარისტანის ავტონომიური რესპუბლიკები. საქართველო შეიქნა სამშობლო, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, როგორც ქართველებისათვის, ისე არა ქართველებისათვისაც, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში სცხოვრობენ საქართველოში.

წინად სომხებისათვის, ქართველებისათვის, ოსებისათვის, თათრებისათვის და სხვათათვის—საერთო სიხარული არ არსებობდა, რაც ერთისათვის სასიხარულო იყო, ის მეორეში მწუხარებას იწვევდა.

მაგალითად: როდესაც ქართველობა 26 მაისს დღესასწაულობდა, არა ქართველები არავითარ მონაწილეობა არ ღებულობდა ამ დღესასწაულში. პირიქით, მისი სახეს 26 მაისს მწუხარება ემჩნეოდა. ჩვენში მობინადრე მცირე ერები არ თვლიდა საქართველოს მაშინდელ მთავრობას თავის მთავრობად, ისინი ვერ ხედავდენ მთავრობაში თავის ინტერესების დამცველს.

სულ სხვა სურათია საბჭოთა საქართველოში. აი, საილიუსტრაციო ფაქტი: 28 მარტს საღამოს გაიხსნა სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-4-ხე ყრილობა. ყრილობაზე წარმოდგენილია საქართველოს მშრომელთა ყველა წრეები: მუშები, გლეხობა, მშრომელი ინტელიგენცია და წითელი მხედრობა. ეროვნების მიხედვით: ქართველი, სომეხი, რუსი, ებრაელი, ოსი, თათარი, გერმანელი და სხვ. ფაქტს, რომელსაც მინდა ხაზი გაუსვა, ყრილობის გახსნის მეორე დღეს, 29 მარტს საღამოს ჰქონდა ადგილი. 5 საათიდან ტფილისი წითელი დროშების ზღვად გადაიქცა. ამ წითელი ზღვის ტალღები საბჭოთა ყრილობის დარბაზისაკენ მიგორავდა. 6 საათისათვის ყრილობის დარ-

ბაზს გარს შემოერტყა რამოდენიმე ათასი ფაბრიკა-ქარხნების მუშებისა და მშრომელი ინტელიგენციისა დროშებითა და პლაკატებით ხელში.

როგორი ლოზუნგებით ესტუმრენ პროლეტართა რაზმები თავიანთ დელეგატების ყრილობას?

„გაუმარჯოს საბჭოებს", „გაუმარჯოს მუშებისა და გლეხების კავშირს", „გაუმარჯოს ჩინეთის რევოლიუციონურ ხალხს", „ძირს მსოფლიო იმპერიალიზმი".

აი ლოზუნგები, რომლებიც უძღვნა საბჭოთა ყრილობის დელეგატებს ტფილისის პროლეტარიატმა.

და განა ამ რევოლიუციონურ ცეცხლით აღგზნებულ პროლეტართა ათასეულებში გაარჩევდა ვინმე ვინ იყო ქართველი და ვინ არა ქართველი? რა თქმა უნდა ვერა. აქ ყველა ერთი ოჯახის შვილი იყო, ყველა ერთი სურვილით, საერთო სიხარულითა და მწუხარებით, საერთო განცდებით შეერთებულ-შესისხლხორცებული.

დიახ, ეს იშვიათი და ჯერ არ ნახული ეროვნული სოლიდარობის დემონსტრაცია იყო.

საბჭოთა ხელისუფლების მიღწევათაგან, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი, ერთა შორის სოლიდარობის გრძნობის განმტკიცებაა.

ამით ჩვენ სრულებითაც არ გვინდა ვთქვათ, რომ ეროვნული საკითხი სავსებით გადაჭრილია. ჯერ ჩვენს სინამდვილეში აქა-იქ კიდევ ვხვდებით შოვინიზმს ქართულს, სომხურს, რუსულსა და სხვ. მაგრამ ძლიერ ფერმკრთალს, [illegible] ს, ჩონჩხებად ქცეულს.

ჯერ კიდევ ხანგრძლივი მუშაობააა საჭირო. მიუხედავად ამისა, ეროვნულ საკითხში არც ერთ ხელისუფლებას არა აქვს ისეთი მიღწევები მთელს მსოფლიოში, როგორიც აქვს საბჭოთა ხელისუფლებას.

ამის უარის ყოფა არავის შეუძლია, ამას მეტყველებენ ურყევი ფაქტები.

საქართველოს ყველა მოქალაქის, პარტიულისა თუ უპარტიოსი, ქართველისა თუ არა ქართველის მოვალეობაა ხელი შეუწყოს საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას და ეროვნული საკითხი სავსებით გადაიჭრება. სულ მალე რეალობათ იქცევა კომპარტიის მეთორმეტე პარტყრილობის იდეალური რეზოლიუცია და ჩვენ მოწამენი შევიქნებით ეროვნულ ფრონტზე საბოლოო გამარჯვების უდიდეს დემონსტრაციისა.

ა. ჩაჩუა.

# „ყვითელის" მაგიერ წითელი საფრთხე

მსოფლიო ომამდე, ევროპის იმპერიალისტებს ძილს უფრთხობდა ეგრედ წოდებული „ყვითელი საფრთხე".

რა იყო ეს „ყვითელი საფრთხე"?

ეს იყო ჩინეთის საფრთხე.

რატომ ეშინოდა თოფ-ზარბაზნებში აღჭურვილ და უაღერსად განვითარებული ტეხნიკის პატრონ ევროპას ამ ერთ წერტილზე გაყინული, დამონებული ჩინეთის? იმიტომ, რომ ჩინეთის მცხოვრებთა რიცხვი უდრის 400 მილიონს. ესე იგი შეადგენს მთელი ქვეყნის მცხოვრებლების თითქმის ერთ მეოთხედ ნაწილს. ამიტომ ამბობდენ: ჩინეთის ხალხი, რომ დაიძრეს და ევროპისაკენ წამოვიდეს—უიარაღოთ, მარტო სიმრავლით, გადაგვლეკავსო. ევროპას ეშინოდა ჩინეთის ხალხის სწორედ ისე, როგორც ჯეჯილის პატრონს ეშინია კალიის შემოსევისა.

როგორც ტყვან: შიშს დიდი თვალები აქვს და ევროპის იმპერიალისტები ცდილობდენ ეს საშიშროება რაც შეიძლება შეესუსტებიათ...

ევროპის იმპერიალისტები მალე დასწვდენ მიზანს და 400 მილიონი ჩინეთის ხალხი ნამდვილ საწველ ფურად გადააქციეს.

მაგრამ აი დაჰკრა 1917 წლის რევოლიუციამ. დაინგრა იმპერიალისტების ერთი უმაგრესი ნავთსაყუდარი—რუსეთის თვითმპყრობლობა. ოქტომბრის რევოლიუციამ გამოაღვიძა და ფეხზე დააყენა მთელი ქვეყნის ჩაგრულნი და დამონებული ერები.

საბჭოთა კავშირი გახდა ყველა მშრომელების, ყველა დაჩაგრული და დამონებული ერების აღთქმის ქვეყნად.

რევოლიუცია გადამდები სენი გახდა. განსაკუთრებით გავრცელდა „რევოლიუციის ბაცილები" საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთის ერთ დიდ მეზობელ სახელმწიფოში.

ეს სახელმწიფო გახლავთ დიდი ჩინეთი—„ყვითელი საფრთხე".

წითელმა მეზობელმა—საბჭოთა კავშირმა—ამ ყვითელ ჩინელებში წითლად შეანათა.

შეინძრა გოლიათი. გაექან-გამოექანა. მკლავში ღონე იგრძნო და მეზობლად კარგი დამხმარე იშოვა.

ჩინეთი ახალის ძალით გამოვიდა ბრძოლის ველზე და გააჩაღა რევოლიუციის დიდი ხანძარი..

„ყვითელი საფრთხე" წითელ საფთხეთ შეიცვალა. ეს კი იმპერიალისტებისთვის უფრო დიდი საფრთხეა.

ჩნეთში მოკალათებულ იმპერიალისტებს ფეხქვეშ ნიადაგი გამოეცალა. ჩინეთის რევოლიუცია დღითი-დღე იზრდება. ჩინეთმა იცის, რომ მისი ხსნა, მისი განთავისუფლება მხოლოდ რევოლიუციაშია.

იმპერიალისტები დაიბნენ. ეს ადვილი მისახვედრია: თუ-კი ევროპას უწინ ყვითელი საფრთხის", ეს იგი ხელფეხ შეკრული დამონებული ჩინეთის ეშინოდა, რაღა იქნება დღეს, როცა ეს 400 მილიონი ჩინელი, გამოღვიძებული, გარევოლიუციონერებული გამოდის თავისი ადამიანური უფლებების დასაცველად? იარაღით აღჭურვილი, განთავისუფლების სურვილი აღგზნებული ჩინეთი, მედგრად მიილტვის წინ და ვაი მისი ბრალი, ვინც გზაზე გადაეღობება ამ გამეხებულ გოლიათს და ხელს შეუშლის მის წინ სვლას. ეს რევოლიუცია თავისთავადაც დიდი უბედურებაა ყველა ქვეყნის იმპერიალისტებისათვის მაგრამ თუ ყველა ამას მიუმატებთ იმ გარემოებას, რომ ეს გამოღვიძებული და რევოლიუციის ცეცხლში გახვეული და გამარჯვების გზაზე დამდგარი დიდი ჩინეთი მეგობრულ კავშირშია დიდ საბჭოთა კავშირთან. მაშინ არა სასიამოვნო სურათი იმპერიალისტებისათვის კიდევ უარესი ხდება, ვინაიდან 400 მილიონ ჩინელებს, რომ მოუმატოთ 130 მილიონი საბჭოთა კავშირის მცხოვრები და შეაერთოთ ამ ორი სახელმწიფოს ტერიტორია, ეს ისეთი წარმოუდგენელი „წითელი საფრთხე" გამოვა იმპერიალისტებისათვის, რომლის მსგავსიც მათ სიზმარშიც კი არ მოეჩვენებათ. იმპერიალისტები კარგად გრძნობენ ამას, ისინი კარგად ხედავენ თავისი დასასრულის მოახლოებას და ამიტომაც ყოველ ღონეს ხმარობენ ჩინეთის რევოლიუციის ჩასახრჩობათ. ამაო ცდაა. ისინი ვერ ჩააქრობენ ჩინეთის რევოლიუციის ხანძარს, რომელიც თვით მათ შთანთქავს და გაანადგურებს.

—

ჩინეთის რევოლიუციის გამარჯვება უზრუნველყოფილია, ეს გამარჯვება — კი თავისთავათ გამარჯვებაა საერთაშორისო რევოლიუციისა.

ძველი პოეტ - მწერლების სიტყვები — ქადაგება—„ვისაც უნდა რომ ცხოვრებას ჩაუკვირდეს, შეისწავლოს, იმას უჯობს ან არ გაჩნდეს, ანუ ცოცხლივ დაიმარხოსო"—შეიცვალა შემდეგი სიტყვებით: ვისაც უნდა მართლაც შეისწავლოს ცხოვრება და ჩაუკვირდეს მას, მან დაბადებაზე კი არ უნდა სთქოს უარი და არც „ცოცხლივ დაიმარხოს", არამედ გაახილოს თვალები, სწორად ჩაუკვირდეს ცხოვრებას, ეხლა მაინც ასწონდასწონოს შექმნილი მდგომარეობა და ის უსათუოთ დაინახავს სწორ გზას, მშრომელთა მხნეელ გზას.

ეს არის გამარჯვება ყველა მშრომელთა და ტვირთმძიმეთა, ეს არის გამარჯვება როგორც მსოფლიო პროლეტარიატისა, ისე ყველა ქვეყნის დამონებული ერების განთავისუფლებისა.

ს. დოლიძე.

# რას გვავალებს ქართველი ხალხის ინტერესები?

ჩვენს მაზრამდინაც მოაღწია ჟურნალ-გაზეთების საშუალებით ხმამ, რომ საზღვარგარეთ შემდგარ „ამიერკავკასიისა და უკრაინის განმათავისუფლებელი კომიტეტი“, რომელსაც განზრახული ჰქონია ბურჟუაზიულ სახელმწიფოებთან მოსალოდნელ გართულების დროს აუჯანყოს ხალხი საბჭოთა ხელისუფლებას.

ყველა პატიოსან მოქალაქეს აღშფოთებს ასეთი ამბავი. ნუ თუ ეს მართალია? ნუ თუ ამ გარეწარ ადამიანებს არ ეყო აგვისტოს ავანტიურა, რომ კიდევ ახალ ავანტიურას უმზადებენ ქართველ ხალხს?

აბა ვინ იტყვის, რომ საქართველომ დღეს უკვე მიაღწია პროგრესის უკანასკნელ საზღვარს და მას მეტი არაფერი არ სჭირდებაო. მაგრამ ერთი რამ აშკარაა: საქართველო მრავალ საუკუნეთა განმავლობაში არ ყოფილა ისეთ კარგ პირობებში, როგორშიაც დღეს არის. მისი ეკონომიური და კულტურული განვითარება დღეს უზრუნველყოფილია.

ამ მხრივ მუშაობა დღიდან საქართველოს გასაბჭოებისა დაწყებულია და ყოველ წლობით ჩქარის ნაბიჯით წინ მიიწევს. ორივე თვალით ბრმა უნდა იყოს ადამიანი, რომ მან ვერ დაინახოს, თუ რაოდენ დიად მიღწევებს აქვს ადგილი საკავშირო მაშტაბით და კერძოთ საქართველოში. რა სფეროც არ უნდა აიღოთ ხალხის ცხოვრებისა, თქვენ ყველგან დაინახავთ, რომ სწარმოებს უდიდესი მუშაობა, გვაქვს უდიდესი მიღწევები. შეუძლებელია ყოველი იმის ჩამოთვლა, რაც გაკეთდა ამ მოკლე აღმშენებლობის ხანაში საქართველოს ცენტრებში და ადგილებზე. ამაზე ბევრი იწერება ყოველ-დღიურ პრესაში და ჩვენ აქ მის განმეორებას არ შეუდგებით. ჩვენ აქ მხოლოდ იმის აღნიშვნა გვინდა, რომ ჩვენი ყოველთვის მივიწყებული ზუგდიდის მაზრაც არ იქნა უყურადღებოდ დატოვებული და მშრომელთა ხელისუფლების მზრუნველობა მასაც დაეტყო: რკინის გზის ხაზის ზუგდიდამდე გაყვანა და ორი მსხვილი წარმოების: ხე-ტყის ქარხნისა და ქაღალდის ფაბრიკის აშენება—ეს ისეთი დიდი საქმეა, რაც უწინ არც კი მოესიზმრებოდა ზუგდიდის მაზრის გლეხობას. აბა ვინ ითიქრებდა, რომ ჯოლეჯიანის ვერანა მინდორზე,—სადაც ღამ-ღამობით მგლები ღმუოდენ და საძოვარზე დარჩენილ საქონელს იტაცებდენ. ხოლო დღისით მგლებისაგან გადარჩენილ საქონელს სამეგრელოს მთავარის ვექილები იჭერდენ, რომ მათი პატრონებისაგან საძოვრის ღალა აეკრიფათ,—მატარებელი დაიკივლებდა და ქარხანა - ფაბრიკები აგუგუნდებოდენ.

ჩვენ ვახსენეთ ზუგდიდამდე რკინის გზის გაყვანა. მოვაგონებ ზუგდიდის მაზრის მშრომელ გლეხობას და მის ყველა მოქალაქეთ, თუ რამდენად სწყუროდათ ზუგდიდის მაზრის მაშვრალთ ამ გზის გაყვანა და რამდენად გაუქირდათ მისი მოპოება მეფის, გინდა მენშევიკების დროს. თვითმპყრობელი რუსეთი ყოველთვის გვეუბნებოდა: შავი-ზღვის რკინის გზა სატრანსპორტო გზაა და მარტო თქვენი კუთხის კეთილ-დღეობისათვის მის მიმართულებას ვერ შევცვლითო. გასაბჭოების შემდეგ მუშურ-გლეხურ მთავრობამ ეს შესაძლებლად დაინახა: რკინის გზის ხაზი ზუგდიდის მაზრის კულტურულ-ეკონომიურ ცენტრს—ქალაქ ზუგდიდს დაუახლოვა. განა ეს უბრალო, მაგრამ მეტად დამახასიათებელი ფაქტი არ მოწმობს იმას, რომ საბჭოთა ხელისუფლება ადგილობრივი ხალხის ინტერესებს მაღლა აყენებს? განა ამის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ თითქოს ჩვენ შეწუხებული ვიყოთ კავშირში შემავალი რომელიმე მრავალრიცხოვან ეროვნების მიერ პოლიტიკურად, გინდა ეკონომიურად?!

მერე და ვისი წყალობით ხდება ყოველი ზემო ჩამოთვლილი მიღწევანი? მით, რომ მთელს კავშირს განაგებს ნამდვილად მუშურ-გლეხური მთავრობა, რომელიც ყველა ეროვნებათა მშრომელების ინტერეს ერთნაირად იცავს, მით, რომ ყველა ცალკე ეროვნებ. შეკავშირებული ვართ ერთ საერთო ოჯახში და ამიერიდან მოსპობილია ურთი-ერთ შორის დავა და შუღლი. მით, რომ ყველა ერების მშრომელებს გვასულდგმულებს ერთი მიზანი—სოციალიზმის დამყარება და ამ საერთო საქმეში ერთი მეორეს დახმარებას ვუწევთ, მით, რომ ურთ-ერთ შორის შეთანხმებული ცხოვრება საშუალებას გვაძლევს, ფართე ასპარეზს გვიშლის ეკონომიურ-კულტურულ გავნითარებისათვის.

ყოველ პატ. მუშაკს თავისუფლათ შეუძლია იაროს ამ გზით და მონაწილეობა მიიღოს ჩვენი ერის ეკონომიურ-კულტურულ აღორძინებაში. მას საბჭოთა მთავრობა სიამოვნებით მიიღებს და თანამშრომლობისათვის მთელი ერი მადლობას ეტყვის. მაგრამ თუ მოისურვა ვინმემ ამ გზაზე ბარიკადების აგება, ან კულტურის გზით მიმავალი მშრომელი მასის ფეხის დახვედრება, ამის უფლებას ვერ მისცემს მშრომელთა ხელისუფლება და ერიც ვერ ეტყვის მშობლიურ სალამს.

ბევრი რამ გაკეთდა ამ ექსვი წლის განმავლობაში, კიდევ უფრო მეტი გვაქვს გასაკეთებელი მომავალში, ყოველ შეგნებულ ქართველს უნდა ახსოვდეს ეს და აქეთკენ უნდა მოუწოდებდეს ქართველი ერის დანარჩენ ნაწილს.

მეც აქეთკენ მოვუწოდებ ზუგდიდის მაზრის გლეხობასა და ინტელიგენციას.

ვიმუშაოთ საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად საქართველოს და ქართველი ერის საკეთილდღეოდ!

ამას გვავალებს ჩვენი ხალხის ინტერესები!

ზუგდიდის შვიდწლედის გამგე, უპარტიო **ნიკოლოზ ბუკია.**

# ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა განყოფილება

## ქართველი ახალგაზრდობა მონახავს თავის შესაფერ გზას

დღეს აშკარაა, რომ საზღვარგარეთ გადახვეწილი რუსი ემიგრანტები თავის „საქმიანობას“ უფარდებს ევროპის იმპერიალისტების ბნელ ზრახვებს.

მართლაც ანტი-საბჭოთა კამპანიების წარმოების და საბჭოთა კავშირის გარემოცვის საქმეში ეს ხალხი მეტად საიმედო დასაყრდნობს წარმოადგენს იმპერიალისტებისთვის.

ყოველ მათგანს აქვს საკმაო საბუთი საბჭოთა ხელისუფლებასთან მტრული დამოკიდებულებისთვის. ეს ის ხალხია, რომელიც რევოლიუციამ დააზარალა, რომელმაც დაკარგა: ჩინი, პატივი, ქონება, დაკარგა ყოველგვარი უპირატესობები. ამ ხალხისათვის სხვა არაფერი არ არსებობს გარდა „ტკბილი წარსული წუთების“ დაბრუნებაზედ ოცნებობისა. ამიტომ საკმარისია დიდ კაპიტალისტურ სახელმწიფოს მთავრობამ მოისურვოს საბჭოთა კავშირის წინაამდეგ კამპანიის ჩატარება, რომ მთელი ემიგრაცია — მას გვერდში ამოუდგეს.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ასეთ **„ლაშქრობას“** ერთგვარი პერიოდული ხასიათი მიეცა და დროგამოშვებით მეორდება.

თვითეული ასეთი ახმაურება კი სათანადო გამოცოცხლებას იწვევს ემიგრაციაში. უკანასკნელად ინგლისის ხელმძღვანელობით საერთაშორისო რეაქციის ამოძრავებას სიხარულით შეხვდა ემიგრაცია. რუსეთის ემიგრაცია რიცხვით რამოდინიმე მილიონს უდრის, მისი საგრძნობი ნაწილი ყოფილი ოფიცრობაა. მაშასადამე ის თავისთავად საგრძნობ ძალას წარმოადგენს.

მაგრამ ვიკითხოთ, რა ძალას წარმოადგენს ქართული ემიგრაცია? არაფერს. ვის ემყარება იგი საქართველოში?

ჩვენი ხალხის რომელი ნაწილი უნდა აამოძრაოს მან ხელსაყრელ მომენტში?

ქართველ მუშებსა და გლეხებს ის ვერ დაემყარება მათი პოზიცია ნათელია, მათთან მენშევიკებს ყოველმხრივ დახშული აქვთ მისავალი კარი.

მაშ ვისი მედი აქვს? ერთად-ერთ დასაყრდენს ძალად საქართველოში მათ მიაჩნიათ ახალგაზრდობა და განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობა. ამ მიზნით დიდიხანია რაც მენშევიკურმა პარტიამ ახალგაზრდობაზე და განსაკუთრებით ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციაზე აილო კურსი. მენშევიკურმა პარტიამ მარქსისტთა ორგანიზაცია აქტიურ არალეგალურ მუშაობაში ჩააბა და სავსებით თავის გავლენას დაუქვემდებარა.

დღეს კი როდესაც მთელმა მშრომელმა მასამ საბოლოოდ შეაქცია ზურგი საზღვარგარეთ გადახვეწილ ქართველ ემიგრაციას და მის ადგილობრივ აგენტებს, ახალგაზრდობაზე მიაქვს იერიშები.

ახალგაზრდობა ყველაზე უფრო სათუთი და მგრძნობიარე ნაწილია ერისა. მათი შეცდენა უფრო ადვილია. ამიტომაა, რომ მათ ჩათრევას განსაკუთრებით ცდილობენ. ავრცელებენ ათასგვარ ლეგენდებს, ხვევენ მას შოვინისტური ფრაზეოლოგიის კორიანტელში, აფრთხობენ „წითელი იმპერიალიზმით“, ამხედრებენ მის წინააღმდეგ, მიუთითებენ მასზე, რომ უმუშევრობა მათთვისაა მოგონილი, რომ სასწავლებლებში მათ არ ღებულობენ და სხვა. საბჭოთა ხელისუფლების ყოველ წვრილმან ნაკლსა და შეცდომებსაც კი პროვოკაციის მიზნებისათვის იყენებენ და მით წამლავენ ახალგაზრდობას.

ვინ არ იცის, რომ ნაკლი მრავალია. რომ ყველა დაბრკოლებები ჯერ კიდევ არაა გადალახული, რომ ბევრი რამ გამოსასწორებელია კიდევ. მაგრამ ეს ხომ არაა მაინც მთავარი. მთავარია აღიარო: თუ ვისთან უნდა იყოს ქართველი ახალგაზრდობა საერთაშორისო შეხლაშემოხლის დროს. მსოფლიო ბურჟუაზიასთან თუ მსოფლიო მუშათა კლასთან. აი, მთავარი რაა—თორემ—ნაკლულოვანებაზედ და დაბრკოლებაზედ არავინ ისე აშკარად არ ლაპარაკობს, როგორც კომუნისტები და მის გამოსასწორებლად მაზედ აშკარად არავინ იბრძვის.

ამა შეეცადონ ეს ვაჟბატონები იმის ახსნას, თუ რაა საერთოდ უმუშევრობის მიზეზი — ის რომ ჩვენი მრეწველობა ვერ იტანს ამდენს უკვალიფიკაციო მუშა-ხელის, თუ სხვა რაიმე.—შეადარონ ჩვენი მდგომარეობა სხვა ჩვენდაგვარ პატარა სახელმწიფოთა მდგომარეობას და მშრალი ციფრებით და ფაქტიური მასალით ხელში აღნიშნონ როგორაა უზრუნველყოფილი ჩვენი დამოუკიდებლობა და ვისი ინტერესების საკეთილდღეოდ მიიმართება დღევანდელი ხელისუფლების გეზი.

ჩვენმა ყოფილმა ლიდერებმა დიდი ხანია დაივიწყეს სიტყვა **კლასი,** საზოგადოების კლასებათ დაყოფა, კლასთა ბრძოლა.. ისინი ფაშისტურ-შოვინისტური ლოზუნგებით ცდილობენ ქართველ ახალგაზრდობის მიბირებას, ავანტიურაში ჩათრევას... მაგრამ სასტიკად ცდებიან ჩვენი ყოფილი ლიდერები.

ქართველი ახალჯგაზრდობა, რომელიც მუდამ რევოლიუციონური სულით იყო გაჟღენთილი, მალე, სულ მალე გაუცნობს გემოს მათ მიერ წამოყრილ საკენკს, მალე მონახავს თავის შესაფერ ადგილს და გვერდში ამოუდგება საბჭოთა საქართველოს პროლეტარიატს და მებრძოლ გლეხობას, რომლებიც ხელი-ხელს ჩაკიდებული ენერგიულად ეწევიან თავისი განახლებული ქვეყნის აღმშენებლობის საქმეს. აი სად მონახავს თავის შესაფერ ადგილს ქართველი ახალგაზრდობა.

ჩვენ ეს გვჯერა. ჩვენ ამის ნიშნებს უკვე საკმაოთ ვხედავთ.

ა. შავგულიძე.

## მეტი ენერგია სწავლის შეძენის საქმეში

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის ფართე მასა ძლიერ ჩამორჩენილია თანამედროვე ცხოვრებას. ეს ითქმის არა მარტო ელემენტარულ-ეკონომიურ და პოლიტიკურ კითხვების გაგებაში, არამედ უბრალო სასკოლო საგნების ცოდნაშიაც კი. ეს ნათლად სჩანს იქიდან, რომ როცა მოწაფეებში ინსტრუქტორი მიდის ამა თუ იმ თემაზე მოხსენების გასაკეთებლად, ხშირად პირდაპირ კურიოზულ შეკითხვებს აძლევენ მას. ხშირად შემკითხველები მაკდონალდის მაგიერ ლიუდოვიკს ასახელებენ და გვეკითხებიან რომელ პარტიას ეკუთვნის ის. ან ასეთ კითხვას მოგვცემენ: ნოე ჟორდანია, რატომ მენშევიკია და არა ბოლშევიკი. და სხვა და სხვა. ეს ახალგაზრდობის მეტი ნაწილის ჩამორჩენილობის მაჩვენებელია.

ჩვენს ძველ თაობას აუტანელ პირობებში უხდებოდა მუშაობა, მას ათასი რამ გასაჭირი უნდა დაეძლია, რომ ერთი პატარა ბროშურა წაეკითხა. მაგრამ ის თავისი დიდი ენერგიითა და ცოდნის წყურვილის მეოხებით, მაინც ახერხებდა თვითგანვითარებას, მაინც ახერხებდა საჭირო ცოდნის შეძენას. იმ დროს ყველაზე უფრო ძნელი საქმე შესაფერი სამეცნიერო ლიტერატურის შეძენა იყო. მარქსიზმის შესასწავლად არა თუ თვით ამ მოძღვრების მამამთავარი მარქსის ნაწარმოები, მის შესახებ რაიმე სულ უბრალო სტატიის შოვნაც კი თითქმის შეუძლებელი იყო. თითით საჩვენებელი იყო ის ბედნიერი, რომელიც ასეთ სტატიას, ან ბროშურას იშოვიდა. ასეთი პირი, არა თუ თითონ სწავლობდა ამ ბროშურების საშუალებით, ისინი ახალგაზრდობისთვის ნამდვილ ცენტრს წარმოადგენდენ. მათთან იკრიბებოდნენ ამხანაგები, რიგში იდგენ ბროშიურის თუნდაც ერთი დღით მიმღებთა მსურველები.

დღეს რა მოხდა? დღეს ჩვენ წიგნს კი არ ვეძებთ, ჩვენ თვით წიგნი გვეძებს, ყოველ გზა ჯვარედინზე, ყოველ მაღაზიის ვიტრინებში ათასობით დაინახავთ საჭირო წიგნებს. მეცნიერების რა დარგიც გინდათ, რომ ახლა შესასწავლად წიგნი ვერ იშოვოდ. ესეც ცოტაა: თუ ჩვენს ძველ თაობას იშვიათად თუ მოეპოვებოდა ისეთი პირი, რომელსაც შესძლებოდა ამა თუ იმ მეცნიერების შესახებ რაიმე ახსნა და ესწავლებია, დღეს ჩვენ ასეთი პირები ყოველ ფეხის გადადგმაზე გვყავს. ჩვენ აქეთ გვეხვეწებიან: მხოლოდ ისწავლეთ და წიგნი და მასწავლებელი რამდენიც გსურთ.

შეიძლება ადამიანს ესა თუ ის მიმართულება არ მოსწონდეს, შეიძლება ამა თუ იმ გაბატონებული მიმართულების, როგორც პოლიტიკაში, ისე მეცნიერებაში, მტერიც იყო, მაგრამ მოწინააღმდეგე მიმართულებას შესწავლა არ უნდა?

მენშევიკების აგიტაციამ შესძლო ჩვენი თაობის ამხედრება ბოლშევიკების წინააღმდეგ. იყო დრო, როცა ჩვენ ბრმად, სრულიად უკრიტიკოდ უჯერებდით ჩვენ მაშინდელ ლიდერებს. ბევრი ჩვენგან დღესაც დარჩა იმ ძველი ხელმძღვანელების გავლენის ქვეშ. სამწუხაროდ, ბევრი ჩვენი ყოფილი ამხანაგები დღესაც ისევ უკრიტიკოდ, ბრმად, თუთიყუშივით იმეორებენ ერთხელ დაზეპირებულ ფრაზებს კომუნისტების წინააღმდეგ, ისევ ისე ძველებურად ადგიათ თავის ძველ შეხედულებას საბჭოთა საქართველოს შესახებ. მათზე თითქოს არავითარ გავლენას არ ახდენს არც ის ტიტანიური, ყოველდღიური პრაქტიკული აღმშენებლობითი მუშაობა, რომელსაც ადგილი აქვს დღეს საბჭოთა საქართველოში.

რით აიხსნება ეს გარემოება? ჩვენის აზრით, ეს მხოლოდ და მხოლოდ იმით უნდა ავხსნათ, რომ ამ ჩვენს ყოფილ ამხანაგებს აკლიათ თანამედროვე პოლიტიკურ-ეკონომიური მომენტის გაგების უნარი, მათ აკლიათ მეცნიერული მომზადება, ურომლისოდაც შეუძლებელია ძველი კერპების გავლენიდან თავის დაღწევა.

ვ. კობახიძე.

# თეატრი და ხელოვნება

## ნაძალადევის თეატრში

კვირას, 27 მარტს, პლეხანოვის სახელობის კლუბში ადგილობრივი დრამატიული წრის მიერ წარმოდგენილი იქნა ლოტარის ოთხ-მოქმედებიანი პიესა **„მეფე არლეკინი"**.

მართალი მოგახსენოთ, ამ წარმოდგენამ პირდაპირ გამაკვირვა: ასე მეგონა ჩემს წინ სცენაზე უბრალო სცენის მოყვარულები კი არა, ნამდვილი აკადემიური თეატრის დამსახურებული მსახიობები თამაშობენო. **„მეფე არლეკინი"** მძიმე და ღრმა შინაარსიანი პიესაა, ის არასოდეს არ ძველდება, როგორც რევოლიუციონურ შინაარსის და მისი გმირების განსახიერება. პიესაში ზოგიერთი როლი მეტის მეტად რთული და ძნელი დასაძლევია თვით პროფესიონალური მსახიობებისთვისაც კი. მიუხედავად ამისა, სცენის მოყვარეთა მათი რეჟისორის ამხ. ბებურიშვილის ენერგიული და ნიჭიერი მუშაობის მეოხებით ყოველივე სიძნელე დაძლეულ დაძლეულ იქნა და პიესა ჩინებულად ჩატარდა.

გარყვნილი და გალაზღანდარებული, პირუტყვული ჟინით შეპყრობილი ტახტის მემკვიდრე ბოგემონტის როლი ჩინებულად შეასრულა ამხ. ლითანაშვილმა. ამ. თოდაძემ მშვენივრად დაგვიხატა სულიერი განცდები მონა არლეკინისა, რომელიც ვერ იტანს ტახტის მემკვიდრის აშკარა პირუტყვულ მოპყრობას მისი სატრფო კოლომბინისადმი; ის კლავს ბოგემონტს, ირთვება მოკლულის ტანისამოსსა და პარიკში და თვით ხდება ტახტის მემკვიდრეც და მეფეც.

კოლომბინას როლს ასრულებდა გვაზავას ქალი. ის ჩინებული იყო იქ, სადაც კოლომბინა, რომელსაც მისი სატრფო არლეკინი ტახტის მემკვიდრის მიერ მკვდარი ჰგონია და თვითონ ეპირება თავისი ხელით შურის ძიებას. განსაკუთრებით კარგი იყო მსახიობი ქალი იქ, სადაც ის ხვდება ბოგემონტის მეუღლე ვიზას, რომელიც თავისი სურვილის წინააღმდეგ გამხდარა ტახტის მემკვიდრის ცოლი.

ეს სცენა იმდენათ მძიმე და ტრაღიკულია, რომ მაყურებელს ჟრუანტელსა ჰგვრის. ჩინებულათ ჩაატარა ვიზას როლი კუდუხაშვილმაც. საუცხოვო იყო ტინვრეტის (სარდალის) როლში ნასყიდაშვილი. პავლიაშვილს ერთობ უმნიშვნელო როლი ჰქონდა, მაგრამ იმაშიც კი ეტყობოდა ნიჭი და დაკვირვების უნარი. დანარჩენები ანსაბლს ხელს უწყობდენ.

როგორც გადმოგვცეს, ყოფილა ზოგიერთების აზრი, რომ ამ თეატრში სავსებით აკრძალონ კლასიკური პიესების დადგმა. ეს კი, ჩვენის აზრით, დიდი შეცდომა იქნება. ნაძალადევი დღეს კი ლენინის უბნად წოდებულ ნაძალადევს არ დაუმსახურებია ასეთი მოპყრობა. ის დღეს თბილისის ყველა სხვა კუთხეებზე უფრო დაწინაურებული კუთხეა. ის დიდის ენერგიით ეტანება თეატრს. რასაც მოწმობს ის უტყუარი ფაკტი, რომ პლეხანოვის თეატრის დარბაზში ყოველ წარმოდგენის დროს ხალხის ტევა არ არის ოპერებისა და კლასიკური პიესების დროს, ხალხი, უადგილობის გამო ბილეთებს ველარ შოულობს. ქს ასეა ყოველთვის ხელოვანი არტისტები თამაშობენ თუ ადგილობრივი სცენის მოყვარეები. მაშ რა საჭიროა აქ სერიოზული და ღრმა შინაარსიანი რეპერტუარის შეცვლა? რით არის გამოწვეული ასეთი სურვილი? ერთხელ და სამუდამოთ უნდა შევითვისოთ ის აზრი, რომ ნაძალადევის საზოგადოებას აქვს სერიოზული სცენის სიყვარული. აქ ტყვილათ არ ჩაუვლია უანგარო სცენის მოღვაწეთა ენერგიულ მუშაობას.

თუ ნაძალადევმა მოგვცა **ვახო აბაშიძის** კანონიერი მემკვიდრე **ნიკო გოცირიძე**, იგივე ნაძალადევი გვართმევს გოცირიძის მოადგილე სცენის უანგარო მოღვაწეებს როგორიც არიან: პავლიაშვილი, ლითანიშვილი, თოდაძე, პაპელაშვილი, ჩიტაძე, თევზაძე, გვაზავა, კუდუხაშვილი; ნასყიდაშვილი და სხ. ნუ დაივიწყებთ, რომ ყველა ესენი მუშები არიან, რომლებიც დაზგასთან მუშაობის შემდეგ უანგაროთ ემსახურებიან ხელოვნებას და მით ხელს უწყობენ ამ მუშათა უბნის მცხოვრებთა კულტურულ განვითარებას.

**ლ. კუპრაშვილი.**

# სწავლა-განათლების საქმე კახეთში

## ახმეტის თემის სკოლები

დღეს მძლავრი შემოქმედებითი მუშაობა სწარმოებს სკოლების გაჯანსაღების მიზნით. ერთი უმთავრესი ნაბიჯი ამ მიმართულებით იმითაც არის გადადგმული, რომ განათლების კომისარიატი ჩვენს შვიდ წლედებს უპირებს გადაკეთებას და ნაწილობრივ გადააკეთა კიდეც გლეხთა ახალგაზრდობის სკოლებად, ხოლო ცხრა წლედებს აძლევს ამა თუ იმ განხრას.

ჩვენი განათლების სისტემის ერთ მტკივნეულ მხარეს ჩვენი ცხრაწლედები წარმოადგენდა. ისინი ბევრ შემთხვევაში თავიანთ მიზნებს ვერ ემსახურებოდნენ. იქ სწავლა დამთავრებულნი ისე იოლად იყვნენ აღჭურვილნი ცოდნით, რომ ცოდვის კითხვაობა იყო და არის მათი მდგომარეობა. უნივერსიტეტში მათ არ ჰღებულობენ, სამსახურში იწუნებენ, მეურნეობისათვის ცოდნა არ შესწევსთ და ამნაირად სრულიად გამოუსადეგარნი ხდებიან, ცხოვრებიდან ირიყებიან, ისე სდევნიან მათ ყველგან, თითქოს მგლის ბილეთებით იყვნენ აღჭურვილნი. მე მაქვს რამოდენიმე წერილი ჩემი ყოფილი მოწაფისა, საცა საშინელი განწირულება და კივილი გაისმის... ისინი მოსთქვამენ, შემომჩივიან, რომ მათ ვერ მოაწყეს თავიანთი ცხოვრება, რომ მათ ნიადაგი ვერ ჰპოვეს ვერსად.

ეს დრამა ნორჩი ძალებისა იმისთვის მოხდა, რომ ისინი სკოლამ ცხოვრებისათვის ვერ მოამზადა... სკოლაშივე უნდა შეჩვეულიყვნენ ცხოვრებასა და ისე აღზრდილიყვნენ, რომ ყოველგვარ პირობებში მათ გზის გაკაფვა შესძლებოდათ, ყოფილიყვნენ მებრძოლი და მჭედელი თავიანთი ბედისა... გავდევნოთ სკოლიდან კლასიური უქნარები... წამოვაყენოთ ისეთი ამოცანები, რომელიც შეადუღებს სკოლას ცხოვრებასთან, თანამედროვეობასთან და მისს ინტერესებთან... ასეთია ახალი პედაგოგიკის ფილოსოფია.

უნიადაგო ინტელიგენტთა კადრები უფრო გაიზრდება, თუ ჩვენ განათლების სისტემასა და ცხოვრების მოთხოვნილებების შორის არ იქნა დაცული წონა - სწორობა. ისე აღვზარდოთ ახალგაზრდა, რომ მას საზოგადოებრივ აღმშენებლობაში აქტიური მონაწილეობის მიღება შეეძლოს.

ჩვენი სკოლების კრიზისი იმითი იქნება დაძლეული, რომ ქვეყნის რეალურ მოთხოვნილების თვალსაზრისით გადავაკეთებთ სკოლებს. ჩვენი წარმოება მეტად ჩამორჩენილია, მაღალი კულტურა არა გვაქვს, ჩვენი მეურნეობა განადგურებულია. ჩვენი გლეხი მეტის მეტი ალერსიანი სახელით მიჰმართავს მისს მკვებავს დედამიწას, დედამიწას უწოდებს მას, მაგრამ არც ერთი შვილი ისე უყაიმურად, ისე უდიერად არ მოეკიდება თავისს დედას, როგორც ჩვენი გლეხი მიწას. ის ყაჩაღურად ექცევა მამულს, საძნე ურმებით დატვირთული მოაქვს მოსავალი და ერთხელ კი არ იტყვის რაიმე დაუბრუნოს ამ დედამიწას, რომ მთლად არ დაუშრეს მაწოებელი ჯიქნები.

უნდა აღვზარდოთ ისეთი მოქალაქენი, რომელნიც ამ საქმეში ჩაებმებიან და თავის თავსაც სარგებლობას მოუტანენ, მეურნეობასა თუ წარმოებასაც გამოაცოცხლებენ, კულტურულ იერს მისცემენ. ჩვენ შევძლოთ როგორმე სკოლის მუშაობა გარემოცულ ცხოვრების საქმიანო-

ბაზე დავაფუძნოთ და მაშინ აღარც ერთი ინტელიგენტი უსაქმოდ არ დარჩება.

სწორედ ამ მოსაზრებით აიხსნება, რომ ჩვენმა ცხრაწლედებმა მიიღეს აგრონომიული, სამრეწველო, კოოპერატიული, პედაგოგიური და სხვა განხრები. ამისთვისვე მიექცა არაჩვეულებრივი ყურადღება გლეხთა ახალგაზრდობის სკოლებს.

თელავის მაზრაში ჯერ - ჯერობით სამი შვიდწლედია გლეხთა ახალგაზრდობის სკოლად გადაკეთებული. ერთი მათგანი გახსნილია ახმეტაში. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ქუდბედი ეწვია ახმეტასა.

თუ რომელიმე თემი საჭიროებდა სკოლის გაჯანსაღებას, ეს თავდაპირველად ახმეტაა, ვინაიდან სწორედ აქაურ მეურნეობას ესაჭიროება მიხედვა. ეს თავისთავად მდიდარი კუთხე ისეა ჩვენი გლეხის უხეირო და უდიერი მეურნეობის წყალობით გავერანებული, რომ ლამის მთლად უდაბნოდ გადაიქცეს. ჯერ არის და ლამის ხევებმა და რიყეებმა სრულიად წალეკონ აქაურობა. რაღა ახმეტა. მთელი კახეთი თითქმის მთლად რიყედ არის გადაქცეული. რა არის ამისი მიზეზი. უმთავრესად ისა, რომ ჩვენი მოსახლეობა აჩანაგებს ტყეებს. იქ. სადაც უღრანი ტყეები იყო, დღეს ჯაგნარებს ძლივს შეხვდებით. რაკი ტყე აღარ აკავებს — ნიაღვრებს მოაქვს ლოდები, ქვალორღი და აოხრებს წვა-დაგვით მოყვანილ ჭირნახულს. ჰქრება წყაროები და მოსახლეობა წყურვილს იკლავს ათას სნეულების გამავრცელებელ მდინარეებით.

ჩვენს სკოლას დიდი პედაგოგიური და მით საზოგადოებრივი საქმის გაკეთება შეუძლიან, თუ ტყის დაცვის ირგვლივ ჩაატარებს თავის მუშაობას, თუ ბრძოლას წამოიწყებს რიყეების მომრავლების, ტყეების გადაკაფვის და სხვა ამისთანების წინააღმდეგ. ჯერ - ჯერობით კი არამც თუ რიყეების შევიწროებაზე შეიძლება ლაპარაკი, თუ ყურადღება არ მიიქცა თვით ახმეტა სრულიად რიყედ გადაიქცევა. სათავეების გამაგრებას ვინ დაგიდევს...

უფრო უნუგეშო მდგომარეობაშია მევენახეობა. ვაზი აქ თითქოს სრულიად ამოვარდნის გზას ადგია. ნიადაგი და პირობა კი აქ საუკეთესოა მევენახეობისათვის. ძველადაც ახმეტა საუკეთესო ღვინოს იძლეოდა.

სრულიად დეფიციტიანია მემინდვრეობა ისევ და ისევ უკულტურობის წყალობით. მეღორეობა აქ პირველ ადგილს დაიჭერს. თუ მას ხელი შეეწყობა.

როგორც სჩანს გლეხთა ახალგაზრდობის სკოლას და თუნდა უფრო დაბალი საფეხურის სკოლასაც მეტად მაღალი ამოცანები აქვს დასახული. მათ უნდა მოამზადონ კულტურული მეურნენი, მოაწყონ საჩვენებელი მამულები და მით მოსახლეობაში შეიტანონ კულტურული ჩვევანი.

ამჟამად სკოლა აქ ფეხმომაგრებულია. მას განაგებს ენერგიით სავსე ახალგაზრდა აგრონომი, რომელიც უეჭველია სკოლას გადააქცევს მთელი რაიონის საამაყო კულტურულ ცენტრად.

ახმეტაში ჩაველით მასწავლებელთა კონფერენციის ჩასატარებლად, მაგრამ მას წინ წაუმძღვარეთ მოსახლეობასთან თათბირი. ახმეტაში ვგონებ ეს პირველი კრება იყო, როცა მოსახლეობას ესმოდა პედაგოგიურ კითხვებზე საუბარი.

რაღ უნდა დიდი შ[illegible]იცება იმ დებულებას, რომ არაოდეს და არაფერი არ შეიძლება გააკეთო, ასწავლო თუ თვით საზოგადოებამ არ მოინდომა. ჩვენც განათლების დარგში ამ გეზით დავიწყეთ მუშაობა. ჩვენ ვცდილობთ მოსახლეობაში პედაგოგიური იდეის პროპაგანდით გავაღვიძოთ ნებისყოფა, სურვილი სწავლისა, და სკოლის აღმშენებლობაში აქტიური მონაწილეობის მიღებისა.

ძნელია ახალგაზრდობის კულტურულად აღზრდა, თუ თვით მოსახლეობა არ იქმნა კულტურული. ჩვენი როცა ბავშვი სკოლაში მოდის არა ჩვეულებრივი იერიშის მიტანაა საჭირო, რომ შევბოჭოთ მისი მავნე ინსტინქტი. სკოლამ ყოველ გვარი საშუალებები უნდა იხმაროს, რომ დათრგუნოს მრუდე გავლენა ბავშვზე. ეს კი იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ჩვენ პედაგოგიურ მუშაობას გადავიტანთ მოსახლეობაში, თუ კულტურულ გავლენას მოვახდენთ მშობლებზე. ამ მოსაზრებით იყო მოწვეული საზოგადოება. ველაპარაკეთ აღზრდით წესებსა და ამოცანებზე, გადაუშალეთ, გაუთვალისწინეთ მრუდე აღზრდის გამანადგურებელი შედეგები და უსურვეთ, რომ ბავშვთა ირგვლივ მასწავლებელთა დახმარებით შეექმნათ ჯანსაღი ატმოსფერა. საზოგადოებასვე მოვაგონეთ მისი მოვალეობა სკოლის მიმართ, აუხსენით, რომ მარტო მთავრობის რესურსები არა კმარა, თვით საზოგადოებამაც უნდა ჩაიდოს წილი ამ ზრუნვაში. საზოგადოება გამახვილებული ყურადღებით ისმენდა მოხსენებას, ნეტავ ასეთსავე ყურადღებით ჩაებას მშობელთა წრის მოვალეობათა აღსრულების საქმეში.

ახმეტის ოთხწლედის მუშაობის გაცნობამ დაგვანახვა, რომ აქაც მასწავლებლობამ ბევრი უნდა იმუშაოს, თუ ჰსურს მათმა სკოლამ ატაროს საამაყო სახელი შრომის სკოლისა.

უეჭველია სკოლის გამგე და რამოდენიმე მასწავლებელიც სცდილობენ სკოლა შეაყენონ თანამედროვობის ლიანდაგზე, მაგრამ ყველას ჯერ ვერ დაუძლევიათ სიძნელე.

(დადსრული იქნება)

დ. თუდოსპირელი.

# წერილი პროვინციიდან

## ქ. ფოთი

24 მარტს მუშათა სასახლეში შესდგა ფოთის სატრანსპორტო გადამტვირთველ ახალგზელ მუშების კრება, რომელზედაც მოხსენება გააკეთა ამხ. ის. ლომთათიძემ საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობაზე. მომხსენებელმა დიდხანს შეჩერდა როგორც საერთაშორისო, მდგომარეობაზე, ისე საბჭოთა აღმშენებლობაზე. მან დაახასიათა აგრეთვე საზღვარგარედ გადახვეწილ მენშევიკებისა და ნაციონალისტების საქმიანობა, რომლებიც კიდევ ცდილობენ საქართველოში აჯანყების განმეორებას. მოხსენების დასრულების შემდეგ იყო მრავალი შეკითხვები და გაიმართა კამათი, რის შემდეგ კრებამ ერთხმად მიიყო შესაფერი რეზოლიუცია, რომელშიაც სასტიკ პროტესტს აცხადებს ემიგრაციის მოღალატურ მოღვაწეობის გამო და ფიცს სდებს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლონ საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად.

კრებაზე დაისვა აგრეთვე საკითხი ჟურნალ „ახალი გზის“ გავრცელების შესახებ და კრებამ ერთხმად გამოსთქვა სურვილი მისი ფართოდ გავრცელების აუცილებლობის შესახებ.

ფოთელი.

სარედაქციო კოლეგია.

ალმასკოძის სტამბა, კამოს ქ. № 68.